

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

კარი I ადგილობრივი თვითმმართველობა

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

ეს კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ და საფინანსო-ეკონომიკურ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესს, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესს.

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

2. თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი წარმოადგენს დასახლებას (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობას (თვითმმართველი თემი), რომელსაც გააჩნია საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები, აქვს არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომში - მუნიციპალიტეტის ორგანოები), აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მუხლი 3. თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში - თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში.

2. თვითმმართველი ქალაქი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია არანაკლებ 15.000 მოსახლე, გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი და მინიჭებული აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალაქის სტატუსი შეიძლება

მინიჭოს აგრეთვე იმ ქალაქს, რომლის რეგისტრირებული მოსახლეობა 15.000 მცხოვრებზე ნაკლებია.

3. თვითმმართველი თემი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ან/და ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც მინიჭებული აქვს თვითმმართველი თემის სტატუსი.

მუხლი 4. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული

1. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია, ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა და რეგისტრირებულია დასახლებათა ერთიან რეესტრში. დასახლების კატეგორიებია:

ა) სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა – დასახლება, რომლის ტერიტორიაზე არსებობს სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ამასთან, დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

გ) ქალაქი - არანაკლებ 5000 რეგისტრირებული მოსახლისგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც არსებობს სამრეწველო საწარმოები, ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს დასახლებათა კატეგორიების განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები.

3. დასახლების შექმნის, გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, ასევე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

ევროპული ქარტია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებანი განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის და ამ კოდექსის ნორმების გათვალისწინებით.

მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელება

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კოდექსით და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები

1. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კოდექსით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, გამართონ წინასწარი კონსულტაციები იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც აერთიანებენ ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ქმედებების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავენ ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მეშვედ¹ თავთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ანალიზი

1. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ანალიზს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამინისტრო ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტების ან საკუთარი ინიციატივით შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმის სფეროში.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები

1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა, ასევე შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოები.

2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებს და აღწერილობას, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით, ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას.

3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

თავი II

ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის შექმნა, გაუქმება და ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა (შეცვლა)

1. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების საფუძველია:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად;

ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობით და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე მიმართოს საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით.

3. მუნიციპალიტეტის გაყოფის გზით ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შემთხვევაში შუამდგომლობაში/წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფის საჭიროების დასაბუთება;

ბ) გაყოფის შედეგად შესაქმნელ მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) შემაჯავლი დასახლებების და მცხოვრებთა რიცხოვნობა;

გ) გაყოფის შედეგად შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

დ) გაყოფის შედეგად შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების), გარდა თვითმმართველი ქალაქისა, ადმინისტრაციული ცენტრი (ცენტრები);

ე) ახალშექმნილ მუნიციპალიტეტზე (მუნიციპალიტეტებზე) ფინანსური და სხვა სახის უფლება-მოვალეობებისა და ქონების განაწილების წესი.

4. მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე.

5. მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს და შესაბამის მუნიციპალიტეტში არჩევნები ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან ერთად.

6. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობით და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე მიმართოს საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტის (გარდა თვითმმართველი ქალაქისა) ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის (შეცვლის) წარდგინებით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით (მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან, საზოგადოებრივ საბჭოებთან და მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე) ან მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების საკრებულოს/საკრებულოების შუამდგომლობის საფუძველზე მიმართოს საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

2. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობაში/წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტების ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტების რეგისტრაცია

1. მუნიციპალიტეტების ზოგადი მონაცემების ერთიანი აღწერის მიზნით, იქმნება მუნიციპალიტეტების მონაცემთა სისტემური ერთობლიობა - მუნიციპალიტეტების რეესტრი.

2. მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო მონაცემებია:

ა) მუნიციპალიტეტის დასახელება;

ბ) თვითმმართველ თემში შემავალი დასახლებები (დასახლების ტიპის მითითებით);

გ) თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი;

დ) მუნიციპალიტეტის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის

საიდენტიფიკაციო კოდი;

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

3. მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემების განახლებასა და გამოქვეყნებას საქართველოს მთავრობის წარდგინებით მიღებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დავის გადაწყვეტის წესი

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სახეები

1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სახეებია:

ა) საკუთარი უფლებამოსილებები;

ბ) დელეგირებული უფლებამოსილებები.

2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კოდექსით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

3. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის მისთვის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების მიერ კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით გადაცემული უფლებამოსილება.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. ამ კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობისა (ფარგების) და განხორციელების წესის განსაზღვრა დასაშვებია მხოლოდ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კოდექსი პირდაპირ მიუთითებს საკუთარი უფლებამოსილების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირების შესაძლებლობაზე.

2. მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციების და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;

ბ) ამ კოდექსით განსაზღვრული წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;

გ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების საქართველოს კანონით დადგენილი წესით შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

დ) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათება, მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;

ვ) წყალმომარაგებისა (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ზ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

თ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ი) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

კ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ლ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით და ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობა;

მ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ნ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების: ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის; სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ო) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

პ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ჟ) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

რ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა

მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახლი ობიექტების მშენებლობა;

ს) უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ტ) სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო დახმარების უზრუნველყოფა საქართველოს კანონით დადგენილის წესით.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები: დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის სასოფლო კოოპერაციის მხარდაჭერის და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნით.

მუხლი 16. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები

1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოსგან თვითმმართველ ერთეულს შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ის უფლებამოსილებები, რომელთა ადგილობრივ დონეზე განხორციელებაც უფრო ეფექტურია.

2. სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

3. მუნიციპალიტეტს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, აქვს მოქმედების თავისუფლება დელეგირებული უფლებამოსილება განახორციელოს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

4. საკანონმდებლო აქტით უფლებამოსილების დელეგირებისას, ამავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც განახორციელებს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას.

მუხლი 17. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი და სახელმწიფო ორგანოებისაგან დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები.

მუხლი 18 . მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები და მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

- ა) გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- ბ) შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს, პროექტებს და ა.შ.;
- გ) ახორციელებენ შესყიდვებს;
- დ) დებენ ხელშეკრულებებს;
- ე) იძენენ და ქმნიან საკუთარ ქონებას, ასევე ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას;
- ვ) ქმნიან და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;
- ზ) იღებენ სესხს;
- თ) მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიების, ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვასა და განვითარებას;
- ი) ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას;
- კ) ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 19. მუნიციპალიტეტების უფლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და ერთობლივი სამსახურების შექმნაზე და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე

1. მუნიციპალიტეტებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შექმნან და გაწევრიანდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან.

3. მუნიციპალიტეტებს ამ კოდექსით დადგენილ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელების მიზნით, უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ხელშეკრულების საფუძველზე შექმნან ერთობლივი სამსახური, რომელსაც გადასცემენ მათ უფლებამოსილებათაში არსებულ ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. ერთობლივი სამსახურის მართვის, დაფინანსებისა და კონტროლის წესი და პირობები განისაზღვრება მუნიციპალიტეტებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4. მუნიციპალიტეტები „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არიან ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

კარი II

მუნიციპალიტეტის ორგანოები

თავი IV

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო

მუხლი 20. მუნიციპალიტეტის საკრებულო

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის შესაბამისად, არანაკლებ 15 და არაუმეტეს 30 წევრის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევის წესი განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

მუხლი 21. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტობის განმსაზღვრელ სფეროში:

ა.ა) თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, მათი საზღვრების დადგენა და მათი გაუქმება;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების ან საზღვრის შეცვლის შესახებ შუამდგომლობის წარდგენა;

ა.გ) ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლოების - გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების დადგენა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ა.დ) თვითმმართველი ერთეულის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მათი მინიჭების წესის დადგენა;

ა.ე). ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობების;

სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება;

ბ) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ბ.ა) საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

ბ.ბ) საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და გადაყენება;

ბ.გ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ბ.დ) საკრებულოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა და გადაყენება, კომისიათა პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ბ.ე) საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, სამუშაო ჯგუფების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ბ.ვ) საკრებულოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის დამტკიცება;

გ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

გ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ.ბ) ამ კოდექსის შესაბამისად, გამგეობის (მერის), მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;

გ.გ) გამგებლისათვის/მერისათვის უნდობლობის გამოცხადება ამ კოდექსით დადგენილი წესით;

დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

დ.ა) საქართველოს საკანონმდებლო აქტებითა და ამ კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;

დ.ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

დ.გ) მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულებების დამტკიცება, თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 %-ს;

დ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა რანგირების სისტემის შესაბამისად;

ე) მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროში:

ე.ა) გამგებლის (მერის) წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, ასევე 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესების დადგენა ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

ე.ბ) გამგებლის (მერის) წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

ე.გ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე.დ) გამგებლის (მერის) წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

ე.ე) ამ კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე.ვ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას აგრეთვე განეკუთვნება ამ კოდექსით, საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. ამ კოდექსით განსაზღვრული საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს ან თანამდებობის პირებს.

მუხლი 22. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა და შეკრება

1. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა იმართება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღეს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის არჩევას.

2. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

3. ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.

4. თუ იმ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, საკრებულოს სხდომა წყდება. ახალარჩეული საკრებულოს მომდევნო სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იმ დღიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც შესაძლებელი გახდება საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე შესავსებად.

5. თუ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა საკრებულოს წევრთა შესაბამისი რაოდენობის უფლებამოსილების ცნობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 23. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის წესი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს, თვეში ერთხელ მაინც, იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე.
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:
 - ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის (მერის) წინადადებით;
 - ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით;
 - გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით;
 - დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;
 - ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ის მოთხოვნით;
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს საკრებულოს სხდომას. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ერთი კვირის ვადაში მოუწვეველობის შემთხვევაში, საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინფორმირებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრეთაგან უხუცესი წევრი.
5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
6. მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფარული კენჭისყრა ტარდება პირის თანამდებობაზე არჩევის და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტის დროს.

მუხლი 24. საკრებულოს ბიურო

1. საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.
2. საკრებულოს ბიურო:
 - ა) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, ასევე საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;
 - ბ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას;
 - გ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს;
 - დ) ისმენს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;
 - ე) ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 25. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის (მერიის) და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით იქმნება კომისიები, რომელთა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს წევრთაგან. კომისიის წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგენით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით, ამტკიცებს საკრებულო. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი. საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა პირებიც.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 26. დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო. საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა პირებიც.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით.

მუხლი 27. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. ფრაქციის შექმნის მსურველი საკრებულოს წევრები შეიმუშავენ ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმასა და წესდებას. საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით.

2. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

4. ფრაქციის ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე.

5. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.

მუხლი 28. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და აპარატის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 29. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 30. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს არანაკლებ სამ წევრს.

3. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურების დასახელების შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კანდიდატთა სიას და ითხოვს მათ თანხმობას, კენჭი იყარონ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრისათვის ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით.

4. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდა 1 კანდიდატი და ვერ მიიღ ხმათა საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები.

5. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდა 2 კანდიდატი და ვერც ერთმა დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას იმართება ხელახალი არჩევნები.

6. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. მეორე ტურში კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება ხელახალი არჩევნები. თუ მეორე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნების მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატურას.

7. საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს უფლება აქვს, ყოველი კენჭისყრის წინ მოხსნას თავისი კანდიდატურა.

8. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად ერთიდაიგივე პირის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 31. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება

1. საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ შესაბამის წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საკრებულომ არ მიიღო გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების შესახებ, დაუშვებელია მომდევნო 3 თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყება.

მუხლი 32. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დახურულად აცხადებს საკრებულოს სხდომას;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) აყენებს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების მუშაობას;

ვ) წარმოადგენს საკრებულოს ამ კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ზ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით, საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს;

თ) ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებს და სხდომების ოქმებს;

ი) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;

კ) საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

ლ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს რეგლამენტს, კომისიის დაბულებას და აპარატის დებულებას;

მ) ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ნ) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

მუხლი 33. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციები განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით და/ან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას.

4. საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 34. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედს და ფრაქციას.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელობის რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;

ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;

ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, ასევე საკრებულოს თავმჯდომარემ. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 35. ფრაქციის თავმჯდომარე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას ხელმძღვანელობს ფრაქციის თავმჯდომარე, რომლის არჩევის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

მუხლი 36. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საკრებულოს თანამდებობის პირი იმავდროულად შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების კოლეგიური ორგანოს - გაერთიანების საბჭოს წევრი ან საბჭოს თანამდებობის პირი.

მუხლი 37. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოს წევრი შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით.

4. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

5. თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახლარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება ამ კოდექსით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

8. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც. საკრებულოს წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არა უმეტეს ორისა.

9. დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეზღუდოს დასაქმებულის უფლება, წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, გახდეს საკრებულოს წევრი ან მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს (კომისიის და ფრაქციის) მუშაობაში. შრომისსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შეთანხმებას აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის უფლებების შეზღუდვის შესახებ არის ბათილი.

დაუშვებელია აღნიშნული საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან სხვაგვარი დისკრიმინაცია.

10. საჯარო მოსამსახურეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ საკრებულოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მისი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს შემდეგ თანამდებობის პირთა საქმიანობა:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.

2. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეთ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დაუშვებელია საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით.

მუხლი 39. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეზღუდვები

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს:

- ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ბ) იმავდროულად ეკავოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობა;
- გ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- დ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ;
- ე) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ;
- ვ) იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში;
- ზ) იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;
- თ) იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- ი) იმუშაოს საკრებულოს აპარატში და გამგეობაში (მერიაში);

კ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის საწარმოების მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, გარდა საგანმანათლებლო (სასკოლო დაწესებულებები და სხვა), კულტურის (თეატრები და სხვა) და ჯანმრთელობის დაცვის (საავადმყოფოები და სხვა) დაწესებულებებისა.

2. საკრებულოს წევრი იმავდროულად შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის რეგიონული გაერთიანების კოლექტიური ორგანოს - გაერთიანების საბჭოს წევრი ან საბჭოს თანამდებობის პირი.

მუხლი 40. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

- ა) პირადი განცხადებით;
- ბ) მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლით;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობით, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებით ან გარდაცვლილად გამოცხადებით;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტით;
- ე) თუ არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია საკრებულოს მუშაობაში;
- ვ) 39-ე მუხლით გათვალისწინებულ, საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშნვით, არჩევით ან დამტკიცებით;
- ზ) გარდაცვალებით.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება უწყდება ასევე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევაში.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საკრებულო იღებს ცნობად, კენჭისყრის გარეშე.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შესახებ შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

5. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს შესაბამისი კომისია საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს. თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს, კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და

კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას აქვს პირადი ინტერესი, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

მუხლი 41. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

- ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და მათი ინიცირება;
- გ) საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

მუხლი 42. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

- ა) ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;
- ბ) მოქალაქეთა მიღებას;
- გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;
- დ) გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას;
- ე) ამომრჩევლებთან შეხვედრას სამ თვეში ერთხელ მაინც.

მუხლი 43. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებების განხორციელება საკრებულოს სხდომაზე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს საკრებულოს სხდომაზე:

- ა) დასვას საკითხი განსახილველად;
- ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;
- გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვით მიმართოს მომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხი და შეაფასოს იგი;
- დ) გააცნოს საკრებულოს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;
- ე) გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოებისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას აძლევს საკრებულო;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის განხილვაში;
- ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომაზე თავისი

უფლებამოსილების განხორციელების პროცედურული საკითხები განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით.

მუხლი 44. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზოგადი უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უფლებამოსილია:

ა) კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგებელს (მერს), სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის კითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ათი დღით;

ბ) შეუფერხებლად შეხვდეს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

გ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა თავის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ე) საკრებულოს აპარატს დადგენილი წესით მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

ვ) ისარგებლოს იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ინფორმაციის მიწოდების უპირატესი უფლებით, რომლებიც ფინანსდება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ზ) შეიტანოს საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

თ) წარადგინოს წინადადება საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ;

3. მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია განიხილოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით ინიცირების წესით საკრებულოს სხდომაზე შეტანილი საკითხები.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საკრებულოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ყველა საკითხის განხილვისას სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. საკრებულოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს საკრებულოს იმ ორგანოების მუშაობაში მონაწილეობისას, რომლის წევრიც არ არის.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

ბ) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებში და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში;

დ) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულია განსაჯაროებისგან.

6. საკრებულოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში მას უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

7. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში საკრებულოს წევრს:

ა) აღუდგება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი არის, და მიეცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) თუ გასულია იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი იყო, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

თავი V

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

მუხლი 45. გამგებელი (მერი)

1. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი - თვითმმართველ ქალაქში. გამგებელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებას ამ კოდექსით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გამგებელი (მერი) არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი მოხელე, მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი. გამგებელი (მერი) ანგარიშვალდებულია საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 46. გამგეობა/მერია

გამგეობა არის დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის უფლებამოსილებათა განხორციელებას. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგებელი (მერი). გამგეობა (მერია) შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით უზრუნველყოფენ საკრებულოსა და გამგებლის (მერის) დავალებების აღსრულებას.

მუხლი 47. გამგებლის (მერის) არჩევა

1. გამგებელი (მერი) თანამდებობაზე აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო ხმის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით.

2. გამგებლად (მერად) შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.

მუხლი 48. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება

1. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის წერილობითი შუამდგომლობა გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე.

2. შუამდგომლობა განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი. უნდობლობის გამოცხადება იწვევს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტას.

3. საკრებულოს მიერ გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

4. უნდობლობის საკითხის ინიცირება და გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევიდან 6 თვის, ასევე გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 49. მუნიციპალიტეტის გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირები

1. მუნიციპალიტეტის გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირები არიან:

- ა) გამგებელი (მერი);
- ბ) გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე;
- გ) გამგებლის (მერის) მოადგილე (მოადგილეები);
- დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. გამგებელი (მერი) ნიშნავს გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირებს. გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 13 თანამდებობის პირისა.

მუხლი 50. გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

1. გამგებლის (მერის) თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობა დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირებისა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას გამგებლის წარდგინებით, ამ კოდექსის შესაბამისად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 51. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის - გამგებლის (მერის) უფლებამოსილება

1. გამგებელი (მერი):

ა) გამგეობის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ა.ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ა.ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის (მერიის) დებულებასა და გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ა.გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირებს და გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს;

ა.დ) ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა შორის; აძლევს დავალებებს და ისმენს გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ა.ე) გამგეობის (მერიის) დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს გამგეობის თანამდებობის პირებზე უფლებამოსილებების დელეგირებას, გარდა იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს დამტკიცებას ან თანხმობას;

ა.ვ) იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ა.ზ) ამტკიცებს გამგეობის (მერიის) შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
ბ) საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში:

ბ.ა) წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს საკრებულოს გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

ბ.ბ) თვითმმართველი ერთეულის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ.გ) მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, ესწრება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს. იგი უფლებამოსილია, ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი საკრებულოში;

ბ.დ) უფლებამოსილია მის მიერ საკრებულოში ინიცირებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ კოდექსით დადგენილი წესით შენიშვნებით ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საკრებულოს, გარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა.

ბ.ე) უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების აღსრულებას;

გ) მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

გ.ა) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ასევე ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს. უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ.ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

გ.გ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი წესის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად იღებს გადაწყვეტილებას მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე;

გ.დ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დადგენილების პროექტს საქართველოს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებებისა და გაუქმების შესახებ;

გ.ე) მუნიციპალიტეტის სახელითა და საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს ამ კოდექსითა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით;

გ.ვ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმას;

დ) მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროში:

დ.ა) ამ კოდექსით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას: კერძო სამართლის (სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრიანების შესახებ; მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში ცვლილების შესახებ,

ამხანაგობაში მონაწილეობის, სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენის შესახებ;

დ.გ) საკრებულოს თანხმობით ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიდ ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ პირობებით ან უპირობოთ,

დ.დ) საკრებულოს თანხმობით წყვეტს პირდაპირი განკარგვის წესით უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით სასყიდლით ან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოთ გაცემის საკითხს;

დ.ე) საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალური ქონების შემძენზე/სარგებლობის უფლების მიმღებზე/მართვის უფლებით მიმღებზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი.

დ.ვ) საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიმღები პირის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;

დ.ზ) ამ კოდექსის შესაბამისად საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;

დ.თ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;

დ.ი) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საპრივატიზაციო ქონების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის პროექტებს;

დ.კ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ;

დ.ლ) ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებასა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;

დ.მ) მუნიციპალური ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე;

ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში:

ე.ა) წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ხელს აწერს თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ე.ბ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სხვა პროგრამების, სტრატეგიების, გეგმების მომზადებას და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას, ასევე მათ განხორციელებას;

ე.გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ე.დ) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ე.ე) ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ე.ვ) ახორციელებს ამ კოდექით, გამგეობის (მერის) დებულებითა და საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. გამგებელი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის დასახლებაში (დასახლებებში) დანიშნოს გამგებლის წარმომადგენელი. წარმომადგენლის უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით.

3. პერსონალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას საკრებულოს წევრის მიერ გამგებლის (მერის) საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 52. გამგებლის (მერის) თანამდებობრივი შეუთავსებლობა

გამგებლის (მერის) თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 53. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტის და შეჩერების საფუძველები

1. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია:

ა) სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება;

ბ) სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;

გ) შვებულება;

დ) დროებითი შრომისუუნარობა;

ე) საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში კანდიდატად წამოყენება, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ვ) უფლებამოსილების შეჩერების სხვა შემთხვევები (კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე).

2. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ბ) თანამდებობიდან გადადგომა;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ზ) საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადება;

თ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

ი) ამ კოდექსის XVIII თავით განსაზღვრული შემთხვევები.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და მეორე ნაწილის საფუძველზე, გარდა მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამგებლის (მერის)

უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტისას მის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. გამგებლის (მერის) მოვალეობის შესრულების პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარეს უჩერდება საკრებულოს თავმჯდომარის სტატუსი.

5. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება ადმინისტრაციული პატიმრობისა და აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის მოქმედების ვადით.

6. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებლის (მერის) რიგგარეშე არჩევნები ინიშნება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით, უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 40 დღისა.

7. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახლადარჩეული გამგებლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

8. თუ გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დარჩენილია ერთ წელზე ნაკლები გამგებლის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.

მუხლი 54. გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები)

1. გამგებელს (მერს) ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები), რომელსაც (რომლებსაც) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). თვითმმართველ ქალაქებში მერიის დებულებით მერის პირველი მოადგილის ნაცვლად შეიძლება განისაზღვროს ვიცე-მერის თანამდებობა. ვიცე-მერის თანამდებობრივი სტატუსი უთანაბრდება გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის თანამდებობას.

2. გამგებლის (მერის) მოადგილე ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, ხელმძღვანელობს გამგეობის (მერიის) უფლებამოსილებას მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების და გამგებლის (მერის) დავალებების შესრულებას, გამგეობის (მერიის) დებულების შესაბამისად კოპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს.

3. გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის და მოადგილის უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის (მერიის) დებულებით.

4. გამგებლის (მერის) დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას, გამგეობის (მერიის) დებულებით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ასრულებს გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე ან მოადგილე.

მუხლი 55. გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევები

გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 56. გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეჩერება და შეწყვეტა

1. გამგებლის (მერის) პირველ მოადგილესა და მოადგილეს (მოადგილეებს) უფლებამოსილება უჩერდება და უწყდება შესაბამისად ამ კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა-თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ასევე გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტისას.

2. გამგებლის (მერის) პირველ მოადგილეს და მოადგილეს (მოადგილეებს) უფლებამოსილება უწყდება ასევე გამგებლის (მერის) მიერ მათი გათავისუფლების შემთხვევაში.

მუხლი 57. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).

2. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა შორის;

გ) გამგებელს (მერს) წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს; სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ე) გამგებელს (მერს) წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) გამგებელს (მერს) პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) გამგეობის (მერიის) დებულების შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) ანგარიშვალდებულია გამგებლის (მერის) წინაშე.

3. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი (მერი).

თავი VI

მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

მუხლი 58. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

3. თამდებობის პირების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია:

ა) საკრებულოს განკარგულება;

ბ) გამგებლის (მერის) ბრძანება;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება;

დ) გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის, გამგებლის (მერის) მოადგილის ბრძანება;

ე) გამგებლის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ბრძანება.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიიღება საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა წევრების ხმების უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-ისა, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. საკრებულო ვალდებულია გამგებლის (მერის) მიერ ამ კოდექსის შესაბამისად საკრებულოში ინიცირებული საკრებულოს დადგენილება მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნოს გამგებელს (მერს). საკრებულოს მიერ გაგზავნილი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამგებელი (მერი) ეთანხმება მას ან საკუთარი შენიშვნებით უბრუნებს საკრებულოს. გამგებლის (მერის) შენიშვნებს, თუ იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის სხვა რედაქციით მიღებას, თან უნდა ახლდეს ამ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის შესაბამისი რედაქცია. გამგებლის (მერის) თანხმობის მიღებამდე დადგენილების გამოქვეყნება დაუშვებელია.

6. საკრებულო ვალდებულია 15 კალენდარული დღის ვადაში კენჭი უყაროს გამგებლის (მერის) შენიშვნების მიღებასა და საკრებულოს დადგენილების პირველი რედაქციის გაუქმების საკითხს. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჭირო ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ხმათა რაოდენობა. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს დადგენილების პირვანდელი რედაქციით გამოქვეყნების საკითხს. საკრებულოს დადგენილება პირვანდელი რედაქციით გამოქვეყნდება, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, რის შემდეგაც საკრებულოს აპარატი არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა მას აგზავნის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსაქვეყნებლად.

7. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კოდექსით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის ორგანოების დებულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 59. მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების გასაჩივრება

1. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება სასამართლოში საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირების, გარდა გამგებლისა (მერისა), ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება გამგებელთან (მერთან) და შემდგომ სასამართლოში საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

კარი III საქართველოს დედაქალაქი - თბილისი

თავი VII დედაქალაქის სტატუსი

მუხლი 60. საქართველოს დედაქალაქი და მისი სტატუსი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

2. თბილისი არის თვითმმართველი ქალაქი.

3. თვითმმართველი ქალაქის თბილისის (შემდგომში - თბილისი), როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსი, გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას.

4. თუ ამ კარით სხვა რამ არ არის დადგენილი, თბილისის, როგორც მუნიციპალიტეტის, სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები, უფლებამოსილებები, ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი თავებით მუნიციპალიტეტისთვის დადგენილი დებულებებით.

მუხლი 61. თბილისის საკუთარი უფლებამოსილებები

თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა) ამ კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებები;

ბ) გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა;

გ) დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის; მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის); გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის; სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება;

დ) მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვა;

ე) ჩამდინარე წყლების გასუფთავება და უტილიზაცია.

მუხლი 62. თბილისის თვითმმართველობის ორგანოები

1. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით.

2. ადგილობრივი მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქმედითი მონაწილეობის, მათი ინტერესების თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში წარმოდგენისა და დაცვის და ამ კოდექსით განსაზღვრული გადაწყვეტილებების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მიღების უზრუნველყოფის მიზნით, იქმნებიან თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოები – უბნის საბჭოები (შემდგომში - უბნის საბჭოები).

3. უბნის საბჭოები ახორციელებენ ამ კოდექსით მათზე გადაცემულ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს უფლებამოსილებებს.

4. თბილისის საკრებულო უფლებამოსილია მოახდინოს საკუთარი უფლებამოსილების გადაცემა უბნის საბჭოებზე, ამ კოდექსით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 63. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულები

1. თბილისის ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულებია: უბანი და რაიონი. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეული არ არის თვითმმართველი ერთეული.

2. რაიონის ტერიტორია უნდა ემთხვეოდეს ერთი ან რამდენიმე უბნის ტერიტორიას. რაიონებში ფუნქციონირებენ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოები თბილისის რაიონის გამგეობები (შემდგომში – რაიონის გამგეობები).

3. ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, გაუქმების, საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას თბილისის მერის ან საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის წარდგინებით, იღებს თბილისის საკრებულო. გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

4. ადმინისტრაციული ერთეულის უბნის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედი უბნის საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 64. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირების ძირითადი კრიტერიუმები

1. ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირების ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) **თანაზომადობა** - ადმინისტრაციული ერთეული ფორმირდება მათში თავმოყრილი მოსახლეობისა და მიკუთვნებული ტერიტორიის სიდიდის თვალსაზრისით.

ბ) **ტერიტორიის უწყვეტობა** - ადმინისტრაციული ერთეული არ უნდა კვეთდეს მნიშვნელოვან საქალაქო სივრცის მაფორმირებელ და/ან შემომსაზღვრელ ბუნებრივ ან ტექნიკურ-ინფრასტრუქტურულ ელემენტებს/კომპონენტებს, რაც ხელს შეუშლის მისი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას. თავიდან უნდა იქნას აცილებული ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირება სხვა ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში.

გ) **ჰომოგენურობა** - გამოყოფილი ტერიტორიული ერთეულები უნდა ხასიათდებოდეს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ფუნქციური პროფილითა და შიდა სტრუქტურების:

განაშენიანების, რელიეფის, საცხოვრისის (უძრავი ქონების) და ა.შ. - საკმარისი ერთგვაროვნებით.

დ) **ტერიტორიული თანხვედრა** - თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების დადგენისას მაქსიმალურად უნდა გათვალისწინებულ იქნეს ისტორიული უბნების (გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები გეოგრაფიულად განცალკევებადი, სოციალურ-კულტურული იდენტობის მქონე ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფი) საზღვრები. ადმინისტრაციული ერთეული უბანი ტერიტორიულად უნდა ემთხვეოდეს ისტორიულ უბანს (არსებობის შემთხვევაში) ან წარმოადგენდეს აღნიშნული ტიპის რამდენიმე უბნის გაერთიანებას.

თავი VIII

თბილისის თვითმმართველობის და თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოები

მუხლი 65 . თბილისის საკრებულო

თბილისის საკრებულო არის თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება არაუმეტეს 50 წევრისაგან. თბილისის საკრებულოს არჩევის წესს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

მუხლი 66 . თბილისის საკრებულოს კომპეტენცია

1. თბილისის საკრებულოს კომპეტენციას, ამ კოდექსით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციების გარდა, ასევე განეკუთვნება:

ა) თბილისის მთავრობის თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თბილისის მთავრობისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემა, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის; მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის); გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის; სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება;

დ) თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულების დამტკიცება.

მუხლი 67. საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზაცია

1. საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი განისაზღვრება ამ კოდექსის 23-ე მუხლით და ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის გათვალისწინებით.

2. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს თბილისში

რეგისტრირებული არანაკლებ 10 000-ს ამომრჩევლის მოთხოვნით.

მუხლი 68 . უბნის საბჭო

1. ქალაქ თბილისის უბნის წარმომადგენლობითი ორგანოა უბნის საბჭო, რომელიც აირჩევა თბილისის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით.

2. ქალაქ თბილისის უბნის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის შესაბამისად არანაკლები 10 და არაუმეტეს 20 წევრით.

3. უბნის საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. უბნის საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.

4. უბნის საბჭოს უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი ამ კოდექსის შესაბამისად განისაზღვრება უბნის საბჭო რეგლამენტით. უბნის საბჭოს ტიპიურ რეგლამენტს და აპარატის ტიპიურ დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

მუხლი 69 . უბნის საბჭოს უფლებამოსილებები

1. უბნის საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) ადმინისტრაციული ერთეულისათვის თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში საპროექტო განაცხადების მომზადება, დამტკიცება და თბილისის მერისთვის წარდგენა;

ბ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის სახელდების შესახებ წინადადების მომზადება და თბილისის საკრებულოსთვის წარდგენა;

გ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოს და თანამდებობის პირების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

დ) უბნის საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

ე) უბნის საბჭოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა, კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ვ) გადაწყვეტილების მიღება უბნის საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

ზ) უბნის საბჭოს რეგლამენტსა და აპარატის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამისი წინადადებების შემუშავება და თბილისის საკრებულოსთვის წარდგენა;

თ) უბნის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა;

ი) თბილისის თანამდებობის პირებისადმი შევითხვებით მიმართვა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის - განკარგულების გამოცემა;

ლ) სრული შემადგენლობის 2/3 მოთხოვნით თბილისის საკრებულოსადმი რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნით მიმართვა;

მ) უბნის საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. უბნის საბჭო ასევე ახორციელებს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

3. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან წინასწარი კონსულტაციები გამართონ უბნის საბჭოსთან, თუ გადასაწყვეტი საკითხი ეხება ადმინისტრაციულ ერთეულს.

4. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ უბნის საბჭოს მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს საკრებულოს სხდომა, დადგენილ ვადაში სხდომის მოუწვევლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს.

5. უბნის საბჭოს საპროექტო განაცხადების მომზადების, დამტკიცებისა და თბილისის მერისთვის წარდგენის წესებს დადგენილებით განსაზღვრავს თბილისის საკრებულო.

მუხლი 70 . უბნის საბჭოს წევრი

1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის უბნის საბჭოს წევრი იმავე დროს შეიძლება იყოს თბილისის საკრებულოს წევრიც.

2. უბნის საბჭოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ უბნის საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა.

3. თუ თბილისის საკრებულოს თანამდებობის პირი იმავდროულად არის უბნის საბჭოს თავმჯდომარე უბნის საბჭოში მისი საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 71 . უბნის საბჭოს თავმჯდომარე

უბნის საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს უბნის საბჭოს მუშაობას; ორგანიზებას უწევს უბნის საბჭოს სხდომების მომზადებას; თავმჯდომარეობს უბნის საბჭოს სხდომებს; უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას; იწვევს და თავმჯდომარეობს უბნის საბჭოს ბიუროს სხდომებს;

ბ) წარმოადგენს უბნის საბჭოს ამ კოდექსითა და თბილისის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) კოორდინაციას უწევს უბნის საბჭოს კომისიების მუშაობას მათი არსებობის შემთხვევაში;

დ) იწვევს უბნის საბჭოს რიგგარეშე სხდომებს;

ე) ხელს აწერს უბნის საბჭოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და უბნის საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ზ) უბნის საბჭოს რეგლამენტით დადგენილ შემთხვევებში ადგენს უბნის საბჭოს სხდომის დღის წესრიგს;

თ) უფლებამოსილია მოითხოვოს თბილისის საკრებულოს ან საკრებულოს კომისიის სხდომაზე გამოსვლა. თბილისის საკრებულო ან საკრებულოს კომისია ვალდებულია არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში მოუსმინოს შესაბამისი უბნის საკითხებთან

დაკავშირებით მის ინფორმაციასა და მოთხოვნებს;

ი) ასრულებს სხვა მოვალეობებს საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 72 . საბიუჯეტო პროგრამების მომზადება, დამტკიცება და აღსრულება

1. უბნის საბჭო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულისათვის თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში საპროექტო განაცხადების მომზადებას, დამტკიცებას და თბილისის მერისთვის წარდგენას, შემდეგ სფეროებში:

ა) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება;

ბ) ადმინისტრაციული ერთეულის სოციალური საკითხები;

გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება.

2. უბანს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროექტო განაცხადების დასაფინანსებლად საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა განესაზღვრება თბილისის ბიუჯეტით. საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობის დაანგარიშების კრიტერიუმებს და პროცედურებს დადგენილებით ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

3. საპროექტო განაცხადების შემუშავების პროცესში უბნის საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა, რისთვისაც ორგანიზებას უკეთებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს, ახორციელებს მოსახლეობის გამოკითხვას, იღებს და განიხილავს მათ პროექტებსა და წინადადებებს.

4. საპროექტო განაცხადები მტკიცდება უბნის საბჭოს განკარგულებით. მერი უფლებამოსილია უბნის საბჭოს განკარგულება შენიშვნებით დაუბრუნოს უბნის საბჭოს და შესაბამისი რაიონის გამგებელს დაავალოს შენიშვნების შეთანხმება უბნის საბჭოსთან. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თბილისის საკრებულო.

5. უბნის საბჭო უფლებამოსილია წერლობით მიმართოს მერს და რაიონის გამგებელს და მოითხოვოს ინფორმაცია დამტკიცებული საპროექტო განაცხადების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. თბილისის მერი და გამგებელი ვალდებული არიან უბნის საბჭოს პასუხი გასცენ მიმართვიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

6. თუ რაიონის გამგებელი ვერ უზრუნველყოფს დამტკიცებული საპროექტო წინადადების აღსრულებას უბნის საბჭო უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნითა და რეკომენდაციებით მიმართოს მერს, ასევე მის წინაშე დასვას რაიონის გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი.

7. თუ თბილისის მერი არ ასრულებს უბნის საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამას, საბჭო ამ კანონით გათვალისწინებული წესით რეაგირებისთვის მიმართავს თბილისის საკრებულოს.

თავი IX

თბილისის თვითმმართველობის

აღმასრულებელი ორგანო

მუხლი 73 . თბილისის მერია

თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგებები) წარმოადგენს

თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

მუხლი 74 . თბილისის მერი

1. თბილისის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო - თბილისის მერი (შემდგომში, მერი) არის თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი. მერი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით. მერის არჩევის წესს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

2. მერად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. მერი:

ა) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის რაიონის გამგეობის ტიპიურ დებულებას;

ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასს, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესებს;

გ) უძღვება მთავრობის საქმიანობას, საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის რეგლამენტს, ანაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს შორის; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს; მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

დ) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

ე) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მერის ბრძანებას.

ვ) ამ მუხლითა და 76-ე მუხლით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით ახორციელებს ამ კოდექსის 51-ე მუხლით განსაზღვრულ გამგებლის (მერის) უფლებამოსილებებს;

ზ) ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. მერი საკუთარ უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია თბილისის მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე. მერი ვალდებულია ყოველწლიურად წარდგეს ანგარიშით საკრებულოს წინაშე. თბილისის საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მერი ვალდებულია წარდგეს რიგგარეშე ანგარიშით.

5. მერისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევები განისაზღვრება ამ კოდექსის 48-ე და 53-ე მუხლებით.

მუხლი 75 . თბილისის მთავრობა

1. თბილისის მთავრობა (შემდგომ – მთავრობა) არის კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას, დედაქალაქის განვითარების სტრატეგიის, დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასა და შესრულებას.

2. მთავრობა შედგება: მერის, მისი პირველი მოადგილისა (ვიცე-მერისა) და მოადგილეების, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და თბილისის

რაიონების გამგებლებისგან, გარდა თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა.

3. მთავრობის სხდომებს თავმჯდომარეობს მერი, ხოლო მისივე დავალებით – მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ან ერთ-ერთი მოადგილე.

4. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კოდექსითა და თბილისის მერიის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

მუხლი 76 . მთავრობის უფლებამოსილებანი

მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;
- ბ) მთავრობის წევრებისთვის დავალებების მიცემა მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების მომზადებისა და შესრულების მიზნით;
- გ) თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;
- დ) საქართველოს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობების განსაზღვრისა და გაუქმების, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა;
- ე) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა;
- ვ) მთავრობის რეგლამენტის, მასში შესატანი ცვლილებების პროექტების შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ზ) საკრებულოს თანხმობით: კერძო სამართლის (სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებაში კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა და მათში გაწევრიანება; მთავრობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების კაპიტალის ცვლილების განხორციელება, ამხანაგობაში მონაწილეობა, სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შექმნა;
- თ) საქართველოს კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირების სამოქმედო წესების საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ საკრებულოსათვის წინადადების წარდგენა;
- კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდების (დებულების) შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ლ) მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად კომისიების, საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების შექმნა;
- მ) დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ორგანიზება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

ო) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ და M₃ კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტების დადგენა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

პ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა;

ჟ) მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის წესების დადგენა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარდგენა

რ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსებისათვის (M₂ და M₃ კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტების დადგენა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ს) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვის (ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, შეგროვება, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადამუშავება, სეპარაცია, გაუვნებლება და განთავსება) მომსახურების ორგანიზება;

ტ) თბილისის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

უ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების განვითარებისა და რეაბილიტაციის განხორციელებაში მონაწილეობა და არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა, მათ შორის, დედაქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ცალკეული არქიტექტურული დეტალების, დეკორატიული ელემენტების დამატება-მოწყობის საკითხების რეგულირება და აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ფ) სოციალურ-კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;

ქ) დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება და შესრულება;

ღ) დედაქალაქის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა, ასევე სტრატეგიის შესრულება და მისი განხორციელების მონიტორინგი;

ყ) ამ კოდექსით, თბილისის მერიის დებულებითა და მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 77 . მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები

1. მერს ჰყავს პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები.

2. მერის მოადგილეები ფუნქციონირებენ განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და მერს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ საკრებულოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

მუხლი 78 . თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები

1. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები იქმნება ამ კოდექსით დადგენილი

წესით თბილისის მერიის დებულებით ან მასში შესაბამისი ცვლილებით, მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვისა და მერიის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით.

3. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილება განისაზღვრება თბილისის მერიის დებულებით. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

5. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია მერის წინაშე.

მუხლი 79 . თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში შემავალი სტრუქტურული და ადმინისტრაციული ერთეულების საფინანსო კონტროლი და ზედამხედველობა

თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში შემავალი სტრუქტურული და ადმინისტრაციული ერთეულების საფინანსო კონტროლსა და ზედამხედველობას გეგმური ან/და თემატური აუდიტის მეშვეობით ახორციელებს თბილისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 80 . საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

2. საკრებულოს ნორმატიული აქტით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ, ეკონომიკურ ან/და მთავრობის მიერ განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკრებულო უფლებამოსილია დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი მშენებლობის ნებართვების გაცემის, ქალაქის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებისა და მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და რეკომენდაციების მომზადების, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესის უზრუნველყოფის ან სხვა მიზნით.

4. საკრებულო მთავრობის ინიციატივით უფლებამოსილია თავის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების, საფასურის ოდენობა.

5. საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა.

6. მთავრობა უფლებამოსილია საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და გაცნობის წესი და პირობები.

7. საკრებულო მთავრობის წარდგინებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აფუძნებს შესაბამისი ქონების გადაცემით. საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის ქონების გადაცემა ხორციელდება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ, ვადით ან უვადოდ.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია მის საკუთრებაში არსებული ქონება უსასყიდლოდ გადასცეს თბილისის თვითმმართველ ერთეულს.

9. საკრებულოს თანხმობის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია თავის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობაში გადასცეს ამ კოდექსის XVI თავითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით).

11. საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

12. საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში მის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის თბილისის საკუთრებაში.

თავი X

თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო

თბილისის რაიონის გამგეობა

მუხლი 81. რაიონის გამგეობა

1. ადმინისტრაციული ერთეულებში თბილისის მერიის ტერიტორიულ ორგანოს წარმოადგენს რაიონის გამგეობა.

2. რაიონის გამგეობა შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან.

3. რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხას, თანამდებობირვ სარგოებს, სტრუქტურასა და დებულებას მერის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს საკრებულო.

4. რაიონის გამგეობის ხელმძღვანელს წარმოადგენს რაიონის გამგებელი. რაიონის გამგებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

5. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით აღასრულებენ თბილისის საკრებულოსა და უბნის საბჭოების გადაწყვეტილებებს და გამგებლის დავალებებს.

6. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომლებსაც რაიონის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

7. რაიონის გამგებლის მოადგილეებს, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ასევე გამგეობის სხვა თანამშრომლებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 82 . რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები

1.რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები არიან:

- ა) გამგებელი;
- ბ) მოადგილე (მოადგილეები);
- გ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები, რომლებიც თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რაიონის გამგეობის თანამდებობის პირების შერჩევისას საკონკურსო საატესტაციო კომისიაში სავალდებულო წესით უნდა შეყვანილ იქნენ შესაბამის რაიონში შემავალი უბნის/უბნების საბჭოს/საბჭოების წევრები, რომელთაც წარადგენს შესაბამისი საბჭო/საბჭოები.

მუხლი 83 . ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი

1. ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი უძღვება გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს რაიონის მართვას; კოორდინაციას უწევს თბილისისა და უბნის საბჭოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

2. რაიონის გამგებელი თანამდებობრივად შედის მთავრობის შემადგენლობაში.

3. რაიონის გამგებელი:

ა) უძღვება გამგეობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრებს შორის; თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს;

ბ) ამ კოდექსითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის თანამდებობის პირებსა და სხვა მოსამსახურეებს;

გ) წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს უბნის საბჭოს გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე უბნის საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

დ) მიმართავს უბნის საბჭოს თავმჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, უბნის საბჭოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, უფლებამოსილია დაესწროს უბნის საბჭოს, უბნის საბჭოს კომისიების სხდომებს;

ე) უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, პროგრამების და პროექტების შესრულებას;

ვ) ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს საბიუჯეტო განაცხადს;

ზ) ხელს აწერს გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს გამგეობას და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ი) მონაწილეობს დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის

პროექტის შემუშავებაში;

კ) პასუხისმგებელია რაიონისთვის ქალაქ თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის;

ლ) ამზადებს ინფორმაციას ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების შესახებ და წარუდგენს ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

მ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. რაიონის გამგებელი უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია მერის წინაშე.

მუხლი 84 . რაიონის გამგებლის მოადგილეები

1. რაიონის გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს 3 მოადგილისა.

2. რაიონის გამგებლის მოადგილეს ნიშნავს რაიონის გამგებელი.

3. რაიონის გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ ფუნქციონირებენ განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. რაიონის გამგებლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ გამგებელს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, მისი დავალებით გამგებლის მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 85 . რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები

1. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უძღვებიან მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დარგების საქმიანობას.

2. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას ხელმძღვანელობენ სტრუქტურული ერთეულების უფროსები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

3. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ორგანიზება და კომპეტენცია განისაზღვრება გამგეობის დებულებით.

კარი IV

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და დასახლების საზოგადოებრივი საბჭო

თავი XI.
მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი
თვითმმართველობის განხორციელებაში

მუხლი 86 . ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ორგანოები, მათი სამსახურები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მუნიციპალიტეტის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ორგანოები კანონით დადგენილი წესით:

ა) ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით აქვეყნებენ:

ა.ა) ინიცირებულ გადაწყვეტილებათა პროექტებს;

ა.ბ) ინიცირებულ გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურებსა და ვადებს;

ა.გ) საკრებულოს, აგრეთვე საკრებულოს კომისიის სხდომების დღის წესრიგს, ჩატარების ადგილსა და თარიღს;

ა.დ) მიღებულ ნორმატიულ, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათი გასაჩივრების ვადებს და პროცედურებს;

ა.ე) გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადებს და პროცედურებს;

ბ) უზრუნველყოფენ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ხელმისაწვდომობას.

მუხლი 87 . საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უფლება აქვს, მოამზადოს და წარუდგინოს საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ან წინადადება საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ.

2. პეტიციის წესით საკითხი შეტანილ უნდა იქნეს წერილობით, საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%.

3. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს თან უნდა ერთოდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.

4. კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი.

5. საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

6. საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შემოტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.

მუხლი 88 . მუნიციპალიტეტის კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობა
საკრებულოს, უბნის საბჭოს, საკრებულოს კომისიებისა და თბილისის მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 89 . მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირისა და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების მოსმენა

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირისა და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების მოსმენას.

2. გამგებელი (მერი) და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწიონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარდგინენ მათ წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით, უპასუხონ ანგარიშის მოსმენისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

თავი XII.

დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს ცნება და უფლებამოსილებები

მუხლი 90 . დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს ცნება

1. დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომ-საზოგადოებრივი საბჭო) არის დასახლებაში (დასახლებებში) რეგისტრირებული ამომრჩევლების უფლება და შესაძლებლობა საერთო კრების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იზრუნოს დასახლების (დასახლებების) განვითარებაზე და ქმედითი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

2. დასახლებაში შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი საბჭო, გარდა თვითმმართველი ქალაქისა. თვითმმართველ ქალაქში საზოგადოებრივი საბჭო იქმნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში.

3. საზოგადოებრივი საბჭო არ არის საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, საზოგადოებრივი საბჭო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმს.

4. საზოგადოებრივი საბჭო არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საკუთარი ორგანოები, აგრეთვე უფლებამოსილია გააჩნდეს საკუთარი ქონება და შემოსავლები.

5. საზოგადოებრივი საბჭო ამ კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თავისი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. საზოგადოებრივი საბჭოს მიმართვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებულია გაუწიოს მას სამართლებრივი დახმარება.

6. საზოგადოებრივ საბჭოზე არ ვრცელდება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონების მოქმედება.

მუხლი 91 . საზოგადოებრივი საბჭოს დაფუძნება

1. საზოგადოებრივი საბჭოს დაფუძნების ინიციატივის უფლება აქვს დასახლებაში (დასახლებებში) რეგისტრირებული ამომრჩევლების არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართავს განცხადებით რეგისტრაციაში გაატაროს საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული საზოგადოებრივი საბჭოს დაფუძნების ინიციატივა. საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მისი თითოეული წევრის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

3. გამგეობაში (მერიაში) განცხადების რეგისტრაციის შემდგომ საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის პროცედურის დაწყების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ.

4. საინიციატივო ჯგუფს შეუძლია რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 5 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

5. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს განცხადების რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან.

6. ხელმოწერები უნდა შეგროვდეს გამგებლის დამტკიცებული ნიმუშის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადი ნომერი, მისამართი და ხელმოწერის თარიღი. აღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს, თავისი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროს ან გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

7. საინიციატივო ჯგუფი განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს ერთი თვისა მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს ინიციატივას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლითაც დასტურდება, რომ ინიციატივადს მხარს უჭერს დასახლებაში (დასახლებებში) რეგისტრირებული ამომრჩევლების არანაკლებ 10%-ი.

8. გამგებელი იღებს გადაწყვეტილებას სადამფუძნებლო კრების მოწვევის შესახებ, ან თუ მიიჩნევს, რომ ისინი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

9. გამგებელი უზრუნველყოფს სადამფუძნებლო კრების ჩატარებას განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის ვადაში.

10. სადამფუძნებლო კრება ამტკიცებს საზოგადოებრივი საბჭოს დებულებას და ორგანოებს. სადამფუძნებლო კრება ტარდება ამ კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 92 . საზოგადოებრივი საბჭოს უფლებაუნარიანობის წარმოშობა და რეგისტრაცია

1. საზოგადოებრივი საბჭო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს იძენს დებულების დამტკიცებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის არჩევის შემდეგ.

2. საზოგადოებრივი საბჭოს სარეგისტრაციო მონაცემებია:

- ა) საზოგადოებრივი საბჭოს დასახელება, აგრეთვე შესაბამისი დასახლების (დასახლებების) დასახელება (დასახელებები);
 - ბ) გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი და გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) საზოგადოებრივი საბჭოს დებულება;
 - დ) საზოგადოებრივი საბჭოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
3. საზოგადოებრივი საბჭოს სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემების განახლებასა და გამოქვეყნებას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მუხლი 93 . საზოგადოებრივი საბჭოს უფლებამოსილება

საზოგადოებრივი საბჭო კანონმდებლობის შესაბამისად:

- ა) მართავს მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ქონებას;
- ბ) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენაში;
- გ) მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმით მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამებით დასაფინანსებელი იმ პროექტების შერჩევაში, დაგეგმვაში და განხორციელების მონიტორინგში, რომლებიც ეხება შესაბამის დასახლებას (დასახლებებს);
- დ) ახორციელებს საზოგადოებრივი საბჭოს განვითარებისათვის სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 94. საზოგადოებრივი საბჭოს ორგანოები

1. საზოგადოებრივი საბჭოს ორგანოებია საერთო კრება და საერთო კრების წარმომადგენელთა საბჭო (შემდგომ - კრების საბჭო).
2. საერთო კრებას ხელმძღვანელობს საერთო კრების თავმჯდომარე.
3. საერთო კრების, საერთო კრების თავმჯდომარის და კრების საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 95. საერთო კრება

1. საერთო კრება არის საზოგადოებრივი საბჭოს უმაღლესი ორგანო, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივი საბჭოს ყველა წევრს.
2. საზოგადოებრივი საბჭოს წევრია მის სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე.
3. საზოგადოებრივი საბჭოს საერთო კრება მოიწვევა, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ. საერთო კრებას, წევრთა არანაკლებ ერთი მეთედის, კრების საბჭოს მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით იწვევს საერთო კრების თავმჯდომარე.
4. საერთო კრების ორგანიზებას უზრუნველყოფენ საერთო კრების თავმჯდომარე და კრების საბჭოს წევრები.
5. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ერთი მეხუთედი მაინც. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს გამოკითხვით, ღია ან ფარული კენჭისყრით. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. იმ საზოგადოებრივ საბჭოში, რომელშიც მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე ტარდება ორი ან მეტი საერთო კრება, გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის შედეგების შეკრების საფუძველზე. საერთო

კრების გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით.

6. საერთო კრება:

ა) ამტკიცებს საზოგადოებრივი საბჭოს დებულებას, შეაქვს მასში ცვლილებები;

ბ) ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს და კრების საბჭოს წევრებს, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს

გ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოებრივი საბჭოს პრიორიტეტულ სამოქმედო მიმართულებებს;

დ) ყოველ მორიგ საერთო კრებაზე ისმენს საერთო კრების თავმჯდომარის ანგარიშს საზოგადოებრივი საბჭოს თანხის ხარჯვის თაობაზე;

ე) კრების საბჭოს წარუდგენს წინადადებას საზოგადოებრივი საბჭოს ქონების განკარგვის შესახებ;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობითა და საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 96. კრების საბჭო

1. საერთო კრების წარმომადგენლობითი ორგანოა კრების საბჭო, რომელსაც სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება.

2. საზოგადოებრივ საბჭოში, რომელშიც რეგისტრირებულია 200 წევრზე ნაკლები, კრების საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 3-დან 5 წევრამდე, საბჭოს თავმჯდომარის ჩათვლით.

3. საზოგადოებრივ საბჭოში, სადაც 200 წევრზე მეტია რეგისტრირებული, აირჩევა კრების საბჭოს არანაკლებ 5 და არა უმეტეს 21 წევრი.

4. კრების საბჭოს წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით.

5. კრების საბჭოს სხდომას არანაკლებ თვეში ერთხელ იწვევს საერთო კრების თავმჯდომარე. კრების საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

6. კრების საბჭოს წევრი მოქმედებს საერთო კრების მითითებითა და დავალებით. კრების საბჭოს წევრის უფლებამოსილების მოხსნა ხორციელდება მისი არჩევის წესის შესაბამისად.

7. კრების საბჭოს თავმჯდომარეობს საერთო კრების თავმჯდომარე.

8. კრების საბჭო საერთო კრების თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს საზოგადოებრივი საბჭოს სამოქმედო გეგმებს, წყვეტს ქონების განკარგვის საკითხებს, ამტკიცებს საზოგადოებრივი საბჭოსთვის გათვალისწინებული თანხების ხარჯვის მიმართულებებს, აკონტროლებს საერთო კრების თავმჯდომარის საქმიანობას და ახორციელებს საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. კრების საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

მუხლი 97. საერთო კრების თავმჯდომარე

1. საერთო კრება თავის წევრთაგან 3 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს.

2. საერთო კრების თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 1/10-ს. არჩევნები ტარდება კანდიდატურების დასახელებიდან არა უადრეს მე-7 და არა უგვიანეს მე-15 დღისა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს საერთო კრების დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, გამარჯვებული კანდიდატი გამოვლინდება წილისყრით.

3. საერთო კრების თავმჯდომარე არის საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელი. საერთო კრების თავმჯდომარე აღასრულებს კრებისა და საბჭოს გადაწყვეტილებებს, წარმოადგენს საზოგადოებრივ საბჭოს სხვა პირებთან ურთიერთობაში და პერსონალურად არის პასუხისმგებელი საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობაზე.

4. საერთო კრების თავმჯდომარე, კანონმდებლობით და საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით დადგენილი წესით:

ა) წარმართავს საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საბჭოს მოსახლეობის კავშირს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, გამგეობასთან (მერიასთან) და მათ თანამდებობის პირებთან;

გ) გამგებელს (მერს) წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი საზოგადოებრივი საბჭოს პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

დ) ორგანიზებას უწევს საზოგადოებრივი საბჭოს სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;

ე) მონაწილეობს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ორგანიზებას უწევს მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს, ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და გამგებლისთვის (მერისთვის) მათ მიწოდებას, ამზადებს წინადადებებს საზოგადოებრივი საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;

ვ) ამზადებს წინადადებებს საზოგადოებრივი საბჭოს მიერ განსახორციელებელი პროექტების შესახებ;

ზ) შეიმუშავებს წინადადებებს საზოგადოებრივი საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;

თ) კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის და საზოგადოებრივი საბჭოს ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

ი) უფლებამოსილია მოითხოვოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან საკრებულოს კომისიის სხდომაზე გამოსვლა. მუნიციპალიტეტის საკრებულო/საკრებულოს კომისია ვალდებულია არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში მოუსმინოს შესაბამისი დასახელების (დასახლებების) საკითხებთან დაკავშირებით მის ინფორმაციასა და მოთხოვნებს;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთო კრების დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საერთო კრების თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებათა არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, საერთო კრების წევრთა არა ნაკლებ ერთი მეხუთედი

უფლებამოსილია მოითხოვოს საერთო კრების მოწვევა და საერთო კრების თავმჯდომარის რიგგარეშე არჩევნების ჩატარება.

6. საერთო კრების თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საერთო კრებისა და კრების საბჭოს წინაშე.

მუხლი 98. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა

1. საერთო კრების თავმჯდომარისა და საბჭოს არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს საერთო კრების მიერ საკუთარი შემადგენლობიდან არჩეული საერთო კრების ხმის დამთვლელი კომისია, რომლის საქმიანობის ვადა, შექმნისა და გაუქმების, ხმის მიცემის დროისა და ადგილის შერჩევის წესი, არჩევნების ჩატარების, ხმების დათვლისა და გამარჯვებულის გამოვლენის, საჭიროების შემთხვევაში წილისყრის ჩატარების პროცედურა და არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით.

2. საერთო კრების ხმის დამთვლელი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. ხმის დამთვლელი კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს არჩევნებში წარდგენილი კანდიდატი, საერთო კრების მოქმედი თავმჯდომარე ან კრების საბჭოს მოქმედი წევრი.

3. ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 99. საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლები

1. საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლებს შეადგენს:

ა) შემოწირულობა;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიზნობრივი დახმარება;

დ) საქართველო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავალი.

2. საზოგადოებრივი საბჭო დამოუკიდებლად განსაზღვრავს (გარდა მიზნობრივად გამოყოფილი თანხებისა) მის მიერ დასაფინანსებელ ღონისძიებებს. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით.

3. საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლები გამოიყენება მხოლოდ საზოგადოებრივი საბჭოს უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

4. საზოგადოებრივი საბჭოს არა აქვს სესხის აღების უფლება.

მუხლი 100. საზოგადოებრივი საბჭოს საბუღალტრო ანგარიშგება

1. საზოგადოებრივი საბჭო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (მერს).

2. საზოგადოებრივი საბჭოს საფინანსო საქმიანობას უზრუნველყოფს გამგებელი.

3. საზოგადოებრივი საბჭოს მიმართვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია განახორციელოს მისი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა და ბალანსის შედგენა.

მუხლი 101. საზოგადოებრივი საბჭოს ქონება

1. საზოგადოებრივი საბჭოს ქონებას შეადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

2. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საზოგადოებრივ საბჭოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ამ კოდექსითა საქართველოს კანონებით დადგენილი წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, მიწა და შენობა - ნაგებობები.

მუხლი 102. საზოგადოებრივი საბჭოს ლიკვიდაცია

1. საზოგადოებრივი საბჭოს ლიკვიდაცია ხორციელდება საზოგადოებრივი საბჭოს დებულებით დადგენილი წესით, საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა შესაბამის მუნიციპალიტეტს.

მუხლი 103. საზოგადოებრივ საბჭოებს შორის თანამშრომლობა

ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულება სხვა საზოგადოებრივ საბჭოსთან/საბჭოებთან.

მუხლი 104. საზოგადოებრივი საბჭოს დებულება

საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელიც უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივი საბჭოს:

- ა) სახელწოდებას მითითებით - „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“;
- ბ) მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს;
- გ) მართვის ორგანოების შექმნის წესსა და უფლებამოსილებას;
- დ) გადაწყვეტილების მიღების წესს;
- ე) საფინანსო საქმიანობის საფუძვლებს;
- ვ) ქონების ფორმირების წესს;
- ზ) დებულებაში ცვლილებების შეტანის წესს.

მუხლი 105 . საზოგადოებრივი საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების გარანტიები

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელს უწყობენ საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან საზოგადოებრივი საბჭოს წინადადებები და მიმართვები განიხილონ მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. საერთო კრების თავმჯდომარეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებს ამ კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გონივრულ ვადაში საზოგადოებრივ საბჭოს მიაწოდონ მასთან დაკავშირებული:

ა) საკრებულოში ინიცირებული გადაწყვეტილებების პროექტები;

ბ) ინფორმაცია ინიცირებული გადაწყვეტილებების პროექტების განხილვის პროცედურებისა და ვადების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომის დღის წესრიგი, აგრეთვე ინფორმაცია მისი ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ;

დ) მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ინფორმაცია მათი გასაჩივრების ვადებისა და პროცედურების შესახებ;

5. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან საზოგადოებრივ საბჭოს გააცნონ ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კარი V

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები

თავი XIII. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 106 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესი განისაზღვრება ამ კოდექსით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 107 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია, როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისაგან.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს საკუთარი შემოსულობები და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება.

მუხლი 108 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. მუნიციპალიტეტის გამგებელი (მერი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არა უგვიანეს 15 ნოემბრისა წარუდგენს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ კოდექსისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

2. ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს).

5. ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არა უგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის გამგებელი (მერი) წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

6. მუნიციპალიტეტში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ გამგებელთან (მერთან) შეთანხმებით.

7. გამგებლის (მერის) მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის ან შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში ბიუჯეტის პირვანდელი რედაქციის, საკრებულოს მიერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამგებლისათვის (მერისათვის) გაგზავნილი შენიშვნები.

8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების 1/12-ისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ამ კოდექსით დადგენილი წესით უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება.

9. წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებაზე არ ვცეკდება ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-4-მე-6 ნაწილებით დადგენილი წესები.

მუხლი 109 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) შემოსავლები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს საკუთარ შემოსულობებს და არასაკუთარ შემოსულობებს.

3. მუნიციპალიტეტს თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში შეუძლია, დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს საკუთარი შემოსულობები.

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება კაპიტალური, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერი, სესხი და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტები.

5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების ადმინისტრირება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 110 . ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განსაზღვრა და ადმინისტრირების წესი

1. ადგილობრივი გადასახადების ოდენობას საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტი.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. მუნიციპალიტეტის გადასახადების ადმინისტრირებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას – შესაბამისი სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 111 . ტრანსფერის სახეები

ტრანსფერი ოთხი სახისაა:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი;
- ბ) კაპიტალური ტრანსფერი;
- გ) მიზნობრივი ტრანსფერი;
- დ) სპეციალური ტრანსფერი.

მუხლი 112 . გათანაბრებითი ტრანსფერი

1. გათანაბრებითი ტრანსფერი არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

2. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გამოთანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

3. გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავლებს მუნიციპალიტეტი იყენებს საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

4. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისათვის გასანაწილებელი გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი, ფორმულა და გათანაბრების კოეფიციენტები დგინდება საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“.

მუხლი 113 . კაპიტალური ტრანსფერი

1. კაპიტალური ტრანსფერის გადაცემა ხდება ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის მიზნობრივი კაპიტალური პროექტის განხორციელების მიზნით, რაც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

2. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის საერთო მოცულობა დგინდება კანონმდებლობით.

4. კაპიტალური ტრანსფერის გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის ინიციატივა.

მუხლი 114 . მიზნობრივი ტრანსფერი

1. მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემა ხდება დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის.

2. მიზნობრივი ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 115 . სპეციალური ტრანსფერი

1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური ან სხვა სახის კატასტროფის, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის.

2. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 116 . მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს გამგებლის (მერის) გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს გამგებლის (მერიის) შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 117 . მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღება

1. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობის ნებართვით, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით კაპიტალური ინვესტიციის განხორციელების მიზნით, აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გასული სამი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო ოდენობის 10 პროცენტს. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

3. შესაძლებელია სახელმწიფოსგან ან/და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქვეუწყებო დაწესებულებების და მათ კონტროლს ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან აიღოს სესხი ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტი მოცულობით.

4. საქართველოს მთავრობის თანხმობას საჭიროებს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ თავდებობა ან სხვა რაიმე გარანტიის გაცემა.

მუხლი 118 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

1. ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ა) ხარჯები;
- ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

2. მუნიციპალიტი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადებაზე მიმართავს შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების სრული მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტის.

მუხლი 119 . დამოუკიდებლობა გადასახდელების მიმართულებების განსაზღვრისას

მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.

მუხლი 120 . შემოსავლების კომპენსირება

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღების წლის განმავლობაში ზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს შესაბამისად სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

თავი XIV მუნიციპალიტეტის ქონება

მუხლი 121 . რეგულირების სფერო

1. ეს თავი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიებს, შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს (გარდა ბუნებრივი რესურსებისა, რომლებით სარგებლობა და რომელთა ფლობა და განკარგვა რეგულირდება საქართველოს სპეციალური კანონმდებლობით), ასევე მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს.

2. ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) შესყიდვით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე, თუ შესყიდვის მიზანი იყო შეძენილი საქონლის/მომსახურების შემდგომი განაწილება, დარიგება ან სხვაგვარი ფორმით განკარგვა;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, მუნიციპალიტეტისათვის, გაერთიანებისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების გასხვისებაზე ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვაზე, რომელიც ხორციელდება ამ ორგანოების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით.

3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების გასხვისება ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვა აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით, ამ ორგანოების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 122. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს ამ კოდექსით განსაზღვრული მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა - ქონების პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, მართვის უფლებით გადაცემა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა;

ბ) პრივატიზება - მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში გადაცემა, ამ კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით;

გ) სარგებლობის უფლებით გადაცემა - მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა;

დ) მართვის უფლებით გადაცემა - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი გადაცემა;

ე) განკარგვის საწყისი საფასური - ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლების გადაცემის და მართვის უფლებით გადაცემის საწყისი საფასური;

ვ) განკარგვის საფასური - სარგებლობის უფლების საფასური.

მუხლი 123 . მუნიციპალიტეტის ქონება

1. მუნიციპალიტეტის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

2. მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება:

ა) ამ კოდექსით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული ქონება;

ბ) სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემული ქონება;

გ) საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების მიერ შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება;

დ) მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი ან შექმნილი ქონება.

3. მუნიციპალიტეტის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით ქონებად.

4. ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელების საფუძველს. ძირითადი ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით.

5. დამატებითი ქონება არის ქონება, რომელიც არ არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების ნაწილი და რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიძლება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

7. ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კოდექსის 138–ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა. დამატებითი ქონების გასხვისება დაიშვება ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 124 . მუნიციპალიტეტისათვის ამ კოდექსით მიკუთვნებული ქონება

ამ კოდექსით, მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი ქონება:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი შემადგენელი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები;

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ბ.ა) კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწისა;

ბ.ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა;

ბ.გ) მიწებისა, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსები;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ე.ა) კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა, მათ შორის, საძოვრებისა;

ე.ბ) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

ე.გ) 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

ე.დ) დაცული ტერიტორიების მიწისა;

ე.ე) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწისა;

ე.ვ) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

ე.ზ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

ე.თ) წყლის ფონდის მიწისა.

მუხლი 125 . მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე, ასევე აქციების/წილების (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო წარდგენილ თხოვნაზე იღებს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას. პასუხი წერილობით უნდა ეცნობოს თხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში. თუ უფლებამოსილმა ორგანომ 45 დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, ქონების მმართველის მიერ მოთხოვნილი ქონება ჩაითვლება მისთვის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად და ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციას.

მუხლი 126 . მუნიციპალიტეტის ქონებაზე საკუთრების უფლება

1. მუნიციპალიტეტი ქონებაზე საკუთრების უფლების განხორციელებისას დამოუკიდებელია.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.

მუხლი 127 . მუნიციპალიტეტის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ მუნიციპალიტეტის სახელით.

2. მუნიციპალიტეტის ქონება შეიძლება მდებარეობდეს როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების გამოყენება კრედიტორთა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

თავი XV. მუნიციპალიტეტის ქონების შექმნა

მუხლი 128 . მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროები

მუნიციპალიტეტის ქონება იქმნება:

- ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემით;
- ბ) საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;
- გ) იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა უკავშირებს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების წარმოშობას;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების შექმნით ან შეძენით.

მუხლი 129 . სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა

ქონებას, რომელიც საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ ამ კოდექსით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცემს საკუთრებაში ამ კოდექსის 130-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 130 . სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცემს ქონების მმართველი, მუნიციპალიტეტის გამგებლის (მერის) დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

2. ქონების მმართველი ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოების მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს თხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან 45 დღის ვადაში. ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ქონების მმართველის გადაწყვეტილება მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. თუ მთავრობამ 45

დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მოთხოვნილი ქონება ჩაითვლება მოთხოვნის წარმდგენის საკუთრებაში გადაცემულად.

3. თუ ქონება გამოიყენება ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის მიერ, იგი საკუთრებაში გადაეცემა იმ სუბიექტს, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება მდებარეობს. ასეთი ქონების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტები), რომელიც იყენებს ამ ქონებას.

მუხლი 131 . სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების რეგისტრაცია

1. საჯარო რეესტრში სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემული ქონება რეგისტრირდება ქონების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 130-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულებიდან 60 დღის განმავლობაში.

2. ქონების საჯარო რეესტრში შეტანილი სარეგისტრაციო მონაცემები, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებები და შესწორებები საჯაროა და უნდა გამოქვეყნდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XVI

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა

მუხლი 132 . მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემის რეგულირება

1. მუნიციპალიტეტების ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის წესს, ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის და ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესს, ასევე ანგარიშსწორების წესს, ამ კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემისას აუქციონის ჩატარების წესს, ამ კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 133 . მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ქონების განკარგვის სფეროში

მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემისას ან სხვაგვარად განკარგვისას მუნიციპალიტეტს შეუძლია იმოქმედოს თავისი წარმომადგენლის (რწმუნებული პირის) მეშვეობით.

მუხლი 134 . მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი

1. მუნიციპალიტეტის ქონების (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევისა) შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული

პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის, გაერთიანების, ან საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შესაძლებელია იყოს საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი.

მუხლი 135 . მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ფორმები

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმებით, გარდა ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით მოსარგებლე პირი მოძრავ ნივთს საკუთრებაში გადასცემს მზღვეველს, მის მიერ ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურების ან დაზიანებული ნივთის იდენტური, დაუზიანებელი ნივთის გადაცემის სანაცვლოდ, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 136 . აუქციონის გამოცხადება და ორგანიზება

1. საჯარო აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი წესით ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე, ადგილობრივ ან/და სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში.

2. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება აუქციონატორის ვებ-გვერდზე.

3. აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია, საკუთრების/სარგებლობის უფლება მიანიჭოს აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდება პირობებით – საკუთრების/სარგებლობის უფლება მიანიჭოს აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან გადაიხადოს ბე. ბეს გადახდას უთანაბრდება დაინტერესებული პირის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონის განმახორციელებელ სუბიექტს გადაერიცხება აუქციონის მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან ამ კოდექსით დადგენილი აუქციონის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

5. აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონატორს წარუდგენს განაცხადს. განაცხადის წარდგენით განმცხადებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება აუქციონის წესსა და პირობებს. განაცხადში აღინიშნება ინფორმაცია აუქციონის მონაწილის შესახებ, თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელება, ლოტის ნომერი, საფასური და სხვა ინფორმაცია.

6. აუქციონის შედეგები უქმდება, თუ აუქციონში გამარჯვებულმა:

ა) ამ კოდექსით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა ქონების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ანგარიშზე, ხოლო გადახდილი ბეს თანხა არ უბრუნდება აუქციონის მონაწილეს.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა აგრეთვე სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ნორმატიული აქტით განსაზღვრული აუქციონში მონაწილეობის წესი ან/და პირობები.

9. თუ უფლებამოსილმა ორგანომ გააუქმა ქონების განკარგვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, აუქციონის მონაწილეს გადახდილი ბეს თანხა დაუბრუნდება.

10. თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განიხილება განმეორებით აუქციონად. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50%-მდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

11. თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგარძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

მუხლი 137 . მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება და გარიგების ბათილობა

1. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება.

2. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

3. მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ან/და აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ, ქონების შემძენზე გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

4. მუნიციპალიტეტის პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

მუხლი 138 . მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების წესი

1. ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება.

2. მუნიციპალიტეტის გამგებელი (მერი) დასაბუთებულ წინადადებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე, ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად, წარუდგენს შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს.

3. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე გამგებლისთვის (მერისთვის) თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს წევრთა სითითი შემადგენლობის 2/3-ის მხადაჭერით.

მუხლი 139 . მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი, ქონებით სარგებლობის ქირის საწყისი ოდენობის განსაზღვრა

1. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმებით:

ა) აღნაგობა;

ბ) უზუფრუქტი;

გ) ქირავნობა;

დ) იჯარა;

ე) თხოვება;

ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

2. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კოდექსით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით.

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის ქირის საწყისი ფასი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის თანახმად.

4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის.

5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ უთანაბრდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე.

6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით, უფლებამოსილია საკუთრებაში არსებული ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფო ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

7. მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემა აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით.

8. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ამ კოდექსით დადგენილი წესით იღებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება არაუმეტეს ორი წლის ვადით.

მუხლი 140 . მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა

1. სახელმწიფო მუნიციპალიტეტს სარგებლობაში გადასცემს იმ სახელმწიფო ქონებას, რომელიც საჭიროა მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სარგებლობის უფლებით გადასაცემი შესაბამისი ქონების განსაზღვრა და სარგებლობის

უფლების მინიჭება ხდება ამ კოდექსისა და დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

2. მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადაცემული ქონება რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

3. ასეთი ქონებით სარგებლობის პირობები განისაზღვრება ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებით.

მუხლი 141 . მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნება წილები და აქციები, ასევე ყველა ის მოთხოვნა და უფლება, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მის მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ან/და მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს რაიმე სხვა პირებს.

2. მუნიციპალიტეტი საკუთარი ქონების ბაზაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აფუძნებს სააქციო საზოგადოებებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

მუხლი 142 . წილებისა და აქციების განკარგვის ფორმები

წილებისა და აქციების განკარგვის ფორმებია:

- ა) წილებისა და აქციების პრივატიზება;
- ბ) წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა.

მუხლი 143 . აუქციონის სახეები

წილებისა და აქციების აუქციონი ორი სახისაა: პირობებიანი და უპირობო.

მუხლი 144 . წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა

1. წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა ხორციელდება აუქციონის ფორმით.

2. მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში მუნიციპალიტეტის ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების შესახებ.

მუხლი 145 . მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის შედეგად შემოსული თანხები

მუნიციპალიტეტის ქონებაზე ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად შემოსულ თანხებს უფლებამოსილი ორგანო სრულად მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

კარი VI

სახელმწიფო ზედამხედველობა, აუდიტი და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა

თავი XVII. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა

მუხლი 146 . სახელმწიფო ზედამხედველობის ცნება და სახეები

1. სახელმწიფო ზედამხედველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერება და დელეგირებულ უფლებამოსილებათა ჯეროვანი განხორციელება.
2. სახელმწიფო ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი ზედამხედველობა და დარგობრივი ზედამხედველობა.
3. სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების სფეროში მუნიციპალიტეტისაქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
4. დარგობრივი ზედამხედველობა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ მასზე დელეგირებული უფლებამოსილებების კანონიერ და ჯეროვან განხორციელებას.

მუხლი 147 . სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოები

1. მუნიციპალიტეტის საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
2. მუნიციპალიტეტის მიერ მათზე დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა შესაბამისი სამინისტრო, რომლის უფლებამოსილების დელეგირებაც განხორციელდა კანონით ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 148 . სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი და პრინციპი

1. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის და ამ კოდექსით დადგენილი წესით და ფარგლებში. დაუშვებელია სახელმწიფო ზედამხედველობის განსხვავებული წესებისა და ფარგლების დადგენა საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.
2. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება პროპორციულობის პრინციპის დაცვით.
3. პროპორციულობის პრინციპის დარღვევით განხორციელებული ზედამხედველობის ღონისძიების გამოყენების შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 149 . სამართლებრივი ზედამხედველობა

1. სამართლებრივ ზედამხედველობას ექვემდებარება მუნიციპალიტეტის

ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული (გამოცემული) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

2. სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტით განსაზღვროს მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების სფეროში გამოსაცემი იმ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომლებიც არ ექვემდებარება სავალდებულო სამართლებრივ ზედამხედველობას.

3. სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ექსპერტიზა და დასკვნა გადაუგზავნოს მის გამომცემ ორგანოს. სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო შესაბამის დასკვნას ამზადებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს დასკვნას და მასში მოცემულ მითითებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

4. უარყოფითი სამართლებრივი დასკვნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია დასკვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს გაუგზავნოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი ან მოტივირებული წერილობითი უარი.

5 . მუნიციპალიტეტის მიერ ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში სამართლებრივი დასკვნის გაუთვალისწინებლობის ან მოტივირებული წერილობითი უარის შემთხვევაში, სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი ვადის გასვლიდან ან მოტივირებული წერილობით პასუხის მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების ან ბათილად ცნობის მოთხოვნით.

6 . სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია გაითვალისწინოს და დამაკმაყოფილებლად ცნოს ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაგზავნილი მუნიციპალიტეტის მოტივირებული წერილობითი უარი.

7 . თუ მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს ან მნიშვნელოვნად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან არსებით და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადის დაცვის გარეშე, დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების ან ბათილად ცნობის მოთხოვნით.

8. მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლება აქვს, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

მუხლი 150 . დარგობრივი ზედამხედველობა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და განხორციელებული ქმედება ექვემდებარება დარგობრივ ზედამხედველობას.

2. დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში გამოცემულ მუნიციპალიტეტის

ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება შესაბამისი დარგობრივი ზედამხედველობის სამინისტროს მიერ ამ კანონის 149-ე მუხლით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსის 153-ე და 155-ე მუხლებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისას დარგობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია:

- ა) დაადგინოს სარეკომენდაციო ინსტრუქციები;
- ბ) გამოითხოვოს ინფორმაცია და ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია;
- გ) აწარმოოს ინსპექტირება;
- დ) გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები;
- ე) შეაჩეროს ან გააუქმოს მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- ვ) ჩაანაცვლოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

მუხლი 151 . სარეკომენდაციო ინსტრუქციები

1. უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტებისთვის დაადგინოს სარეკომენდაციო ინსტრუქციები.

2. სარეკომენდაციო ინსტრუქციებმა არ შეიძლება შეზღუდოს მუნიციპალიტეტის უფლება, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება უზრუნველყოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 152 . ინფორმაციის გამოთხოვნა

1. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მოსთხოვოს მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირს) ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი და ინფორმაცია, სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

2. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოთხოვნილი დოკუმენტაცია და ინფორმაცია ზედამხედველობის ორგანოს მიაწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 153 . სავალდებულო მითითებები

1. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები.

2. მუნიციპალიტეტი ვალდებულია ზედამხედველობის ორგანოს მითითებებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მითითების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა აცნობოს ზედამხედველობის ორგანოს.

მუხლი 154 . ინსპექტირება

1. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით აწარმოოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ადგილზე შემოწმება - ინსპექტირება. ინსპექტირების წესს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს ზედამხედველობის ორგანო.

2. ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელს უფლება აქვს უშუალოდ გაეცნოს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესს, შეხვდეს შესაბამის

თანამდებობის პირებს, ასევე მოითხოვოს ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი და ინფორმაციის მიწოდება.

3. მუნიციპალიტეტი ვალდებულია წარმომადგენელს შეუქმნას უფლებამოსილების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობები.

4. ზედამხედველობის ორგანოს მიერ ინსპექტირების განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფერხება.

მუხლი 155 . ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეჩერება და გაუქმება

1. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს/გააუქმოს მუნიციპალიტეტის ორგანოების (თანამდებობის პირების) დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

2. თუ სავალდებულო მითითებების მიღებიდან 30 დღის ვადაში, მუნიციპალიტეტი არ შეასრულებს ზედამხედველობის ორგანოს მითითებას ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ორგანოების (თანამდებობის პირების) დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ.

3. თუ მუნიციპალიტეტის ორგანოების (თანამდებობის პირების) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს ან მნიშვნელოვნად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან არსებით და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებსა და თავისუფლებებს, ან იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ და არამიზნობრივ გამოყენებას დარგობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, სავალდებულო მითითებების გაცემის გარეშე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. მუნიციპალიტეტის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ზედამხედველობის ორგანოს გაუგზავნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მიღებული (გამოცემული) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოტივირებული წერილობითი უარი.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მისი მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

6. დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გაუქმდეს მიზანშეუწონლობის მოტივით, თუ ის არ შეესაბამება ზედამხედველობის ორგანოების მითითებებს. მიზანშეუწონლობის მოტივით აქტის გაუქმების გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

7. დაუშვებელია სახელმწიფო ზედამხედველობის წესით გაუქმებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომებიც გამოცემული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ საფუძველზე შრომის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით.

8. მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ბათილად ცნობის შესახებ ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი გასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 156. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლება

1. თუ მუნიციპალიტეტის ორგანო დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში არ ასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებას გამოსცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დარგობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მისცეს მას მითითება აღნიშნული მოვალეობის შესრულების ვალდებულების შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია მითითების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითება.

3. მითითების ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო.

4. თუ მუნიციპალიტეტის ორგანო (თანამდებობის პირი) მისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესების დაცვით დელეგირებულ უფლებამოსილებას არ ასრულებს ან ასრულებს არაჯეროვნად, ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, მოსთხოვოს მას აღნიშნული მოვალეობის ჯეროვანი შესრულება, რისთვისაც გასცემს სარეკომენდაციო ინსტრუქციებსა და მითითებებს და განსაზღვრავს მდგომარეობის გამოსასწორებლად გონივრულ ვადას, რაც არ შეიძლება იყოს 15 სამუშაო დღეზე ნაკლები. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

5. მუნიციპალიტეტის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მითითებებისა და სარეკომენდაციო ინსტრუქციების შესაბამისად, პერიოდულად, დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ.

6. მდგომარეობის გამოსასწორებლად ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ზედამხედველობის ორგანო დაადგენს, რომ მუნიციპალიტეტი კვლავ არაჯეროვნად ახორციელებს ან არ ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ან მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო. ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა დაეკისრება მუნიციპალიტეტს, რომლის ანაზღაურება ხდება მომდევნო წლის გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობიდან გამოქვითვის გზით.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლების შესახებ ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 157. სამართლებრივი კონსულტაცია

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უფლებამოსილ მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირს) უფლება აქვს

ზედამხედველობის ორგანოს მიმართოს სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობითი თხოვნით.

2. სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობით მიმართვას უნდა დაერთოს მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტი და პროექტის განმარტებითი ბარათი.

3. ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია წერილობითი მიმართვიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოამზადოს და მუნიციპალიტეტს გაუგზავნოს სამართლებრივი დასკვნა მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტის კანონიერების თაობაზე. ნორმატიული აქტის პროექტში სამართლებრივი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში დასკვნა უნდა შეიცავდეს ნორმატიული აქტის დასახელებას (შესაბამის ნორმას), რომელსაც ეწინააღმდეგება პროექტი, აგრეთვე რეკომენდაციებს სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.

4. ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივ დასკვნას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

მუხლი 158 . ზედამხედველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) საქმიანობის საჯაროობა

1. ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 1 თებერვლამდე შეადგინოს და გამოაქვეყნოს ზედამხედველობის სფეროში კალენდარული წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ოფიციალური ანგარიში. ანგარიში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

2. ოფიციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს სტატისტიკურ ინფორმაციას ზედამხედველობის ორგანოსთვის მუნიციპალიტეტის ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გაგზავნილი ნორმატიული აქტების (აგრეთვე კონსულტაციისათვის გაგზავნილი ნორმატიული აქტების პროექტების) შესახებ, ზედამხედველობის პროცესში გასაჩივრებული, გაუქმებული და მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების სრულ ჩამონათვალს, აგრეთვე ინფორმაციას ზედამხედველობის ორგანოს საჩივრებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე. ზედამხედველობის ორგანოს ანგარიშის შედგენის წესი და ფორმა მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ოფიციალური ანგარიშის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს იგი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

თავი XVIII

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი

მუხლი 159 . მუნიციპალიტეტის ორგანოთა საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება:

- ა) სახელმწიფო აუდიტი;
- ბ) დამოუკიდებელი აუდიტი;
- გ) შიდა აუდიტი.

მუხლი 160 . მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტი და შიდა აუდიტი

1. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. საკრებულოს გადაწყვეტილებით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ მიიღება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ.

3. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის (მერიის) საქმიანობის შიდა აუდიტი ხორციელდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამგეობის (მერიის) დებულების შესაბამისად. შიდა აუდიტის განმახორციელებელ სუბიექტებს განსაზღვრავს საკრებულო/საბჭო გამგეობის (მერიის) დებულებით.

თავი XIX

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა, საკრებულოს დათხოვნა, საქმიანობის შეჩერება და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

მუხლი 161. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება

1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობის წარდგინებით და საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას.

3. საკრებულოს დათხოვნა ან უფლებამოსილების შეჩერება იწვევს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შესაბამისად შეწყვეტას ან შეჩერებას.

მუხლი 162. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საკრებულოს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ:

ა) თვითმმართველი ერთეული გაუქმებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით;

ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;

გ) საკრებულომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღებიდან 3 თვეში არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

დ) ახლად არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ შეიკრიბა 3 თვის განმავლობაში.

2. გამგებელს (მერს) უფლებამოსილება უწყდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევებში. გადაწყვეტილებას საკრებულოსა და გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დადგენილებით იღებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 163. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება

1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღებისას პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესს დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული მთავრობის რწმუნებული ან კოლეგიური ორგანო - საგანგებო ადმინისტრაცია ანდა ამ კოდექსით შესაბამისად უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

3. მუნიციპალიტეტში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების საფუძველია:

ა) საკრებულოს დათხოვნა ან საქმიანობის შეჩერება;

ბ) საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევებში.

4. პირდაპირი მმართველობის შემოღებისას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი პირის (ორგანოს) წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 164. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა

1. საკრებულოს დათხოვნისას ან უფლებამოსილების შეჩერებისას პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის რწმუნებული ან კოლეგიური ორგანო - საგანგებო ადმინისტრაცია.

2. ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას მთავრობის დავალებით ახორციელებს მოქმედი გამგებელი (მერი), ხოლო ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტისას, ახალი გამგებლის არჩევამდე საქართველოს მთავრობა მასვე ავალებს მთავრობის რწმუნებულის უფლებამოსილების შესრულებას.

3. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ზედამხედველობას უწევს საქართველოს მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი სამინისტრო.

4. მუნიციპალიტეტის ორგანოების დათხოვნის, უფლებამოსილების შეჩერებისა და ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს დათხოვნილი, უფლებამოსილება შეჩერებული ან შეწყვეტილი საკრებულოს არანაკლებ 6 წევრს ან შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს (მერს).

მუხლი 165 . პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ვადა

1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ორგანოების რიგგარეშე არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ცნობის დღემდე ან თუ მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები - მორიგი არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ცნობის დღემდე.

2. ამ თავით განსაზღვრულ შემთხვევაში საკრებულოსა და გამგებლის (მერის) დათხოვნისას ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას საკრებულო და გამგებელი (მერი) აირჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებამდე ვადით.

კარი VII

მუნიციპალიტეტთა რეგიონული

გაერთიანება

თავი XX. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების სტატუსი და უფლებამოსილება

მუხლი 166 . მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების სტატუსი

1. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება (შემდგომში - გაერთიანება) იქმნება ამ კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. გაერთიანების უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორია ემთხვევა სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორის უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორიას. გაერთიანება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2. გაერთიანების მიზანია კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესში.

მუხლი 167 . გაერთიანების ორგანოები

1. გაერთიანების კოლექტიური ორგანოა გაერთიანების საბჭო (შემდგომში - საბჭო). გაერთიანებას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

2. გაერთიანების ორგანოების ადგილსამყოფელი განისაზღვრება გაერთიანების დებულებით, რომელიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 168 . გაერთიანების უფლებამოსილებები

გაერთიანების უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) გაერთიანების უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება.

ბ) პროექტების, პროგრამების და მათი ხარჯთაღრიცხვის მომზადება, დამტკიცება და აღსრულება შემდეგ სფეროებში:

ბ.ა) გაერთიანების მართვაში გადაცემული საავტომობილო გზების მართვა.

ბ.ბ) გაერთიანების მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, მუზეუმების, საგამოფენო დარბაზების მოვლა-შენახვა, ასევე მათი რეაბილიტაცია, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ბ.გ) გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების მყარი ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია;

ბ.დ) გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გასუფთავება და უტილიზაცია;

ბ.ე) გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტებისათვის საერთო მნიშვნელობის სამელიორაციო-საირიგაციო სისტემის მშენებლობა, მოვლა, რეაბილიტაცია და განვითარება;

ბ.ვ) გაერთიანების უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორიაზე დასაქმებისა და ინვესტიციების ხელშეწყობა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა;

ბ.ზ) გაერთიანების უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის და ტურიზმის ხელშეწყობა; გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების დასახლებებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა;

ბ.თ) გაერთიანების საერთო მნიშვნელობის ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, განვითარება, მოვლა-შენახვა, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ბ.ი) სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან კოორდინირებით, სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ.კ) გაერთიანების მართვაში გადაცემული საავადმყოფოების მოვლა, რეაბილიტაცია და განვითარება;

მუხლი 169 . საბჭოს ფორმირება და შემადგენლობა

1. საბჭო ფორმირება ხდება მასში გაერთიანებული მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრთაგან ამ მუხლით დადგენილი წესით. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება გაერთიანებაში შემავალი საკრებულოების უფლებამოსილების ვადით.

2. საბჭოს ფორმირებისას მუნიციპალიტეტებიდან წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყოველ 10.000 ამომრჩეველზე საკრებულოს ერთი წევრით.

3. იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა ნაკლებია 40 000-ზე (მათ შორის მუნიციპალიტეტიდან, სადაც ამომრჩევლების საერთო რაოდენობა არ აღემატება 10000-ს) საბჭოში წარსადგენი წევრების რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრით. ხოლო, იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა აჭარბებს 90 000-ს, საბჭოში წარსადგენი კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 9 წევრით.

4. თუ საარჩევნო სუბიექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნების შედეგად ფლობს საკრებულოს მანდატების არანაკლებ 95%-ს, ამ თვითმმართველი ერთეულიდან საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატს წარადგენს ეს საარჩევნო სუბიექტი.

5. თუ საარჩევნო სუბიექტი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს არჩევნების შედეგად ფლობს საკრებულოს მანდატების 75%-დან 95%-მდე, ამ თვითმმართველი ერთეულიდან საბჭოში წევრების წარდგენა ხდება შემდეგი წესით:

ა) იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სადაც წარსადგენი წევრების საერთო რაოდენობა, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არ აღემატება 5-ს, ერთი წევრის წარდგენა ხდება საკრებულოს უმცირესობაში მყოფი საარჩევნო სუბიექტების მიერ, ხოლო დანარჩენი წევრების წარდგენა - საკრებულოს მანდატების უმრავლესობის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ;

ბ) იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სადაც წარსადგენი წევრების საერთო რაოდენობა, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შეადგენს 5-ზე მეტს, 2 წევრის წარდგენა ხდება საკრებულოს უმცირესობაში მყოფი საარჩევნო სუბიექტების მიერ, ხოლო დანარჩენი წევრების წარდგენა - საკრებულოს მანდატების უმრავლესობის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ.

6. თუ საარჩევნო სუბიექტი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს არჩევნების შედეგად ფლობს საკრებულოს მანდატების 50%-დან 75%-მდე, ამ თვითმმართველი ერთეულიდან საბჭოში წევრების წარდგენა ხდება შემდეგი წესით:

ა) იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სადაც წარსადგენი წევრების საერთო რაოდენობა, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არ აღემატება 4-ს, ერთი წევრის წარდგენა ხდება საკრებულოს უმცირესობაში მყოფი საარჩევნო სუბიექტების მიერ, ხოლო დანარჩენი წევრების - საკრებულოს მანდატების უმრავლესობის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ;

ბ) იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სადაც წარსადგენი წევრების საერთო რაოდენობა, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად მერყეობს 5-დან 7-ის ჩათვლით, ორი წევრის წარდგენა ხდება საკრებულოს უმცირესობაში მყოფი საარჩევნო სუბიექტების მიერ, ხოლო დანარჩენი წევრების - საკრებულოს მანდატების უმრავლესობის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ;

გ) იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სადაც წარსადგენი წევრების საერთო რაოდენობა, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შეადგენს 9 წევრს, 3 წევრის წარდგენა ხდება საკრებულოს უმცირესობაში მყოფი საარჩევნო სუბიექტების მიერ, ხოლო დანარჩენი წევრების - საკრებულოს მანდატების უმრავლესობის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ.

7. საბჭოში წარდგენილ კანდიდატურებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

8. თუ თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს არჩევნების შედეგად ვერც ერთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა ვერ მიიღო საკრებულოს მანდატების 50%-ი, მუნიციპალიტეტის საკრებულოდან საბჭოში კანდიდატურების წარსადგენად გამოიყენება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი.

9. საკრებულო ვალდებულია აირჩიოს საბჭოს წევრები არა უგვიანეს ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომის გამართვიდან 20 დღის ვადაში.

10. საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას საბჭოს ახალ წევრს/წევრებს საკრებულო ირჩევს ორი კვირის ვადაში.

11. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება მისი როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 170 . საბჭოს პირველი სხდომა

1. საბჭოს პირველი სხდომა იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 40 დღის ვადაში. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. საბჭო უფლებამოსლია შეიკრიბოს, თუ არჩეულია გაერთიანების საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3. საბჭოს სხდომებს, თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

2. ახალარჩეული საბჭოს პირველი სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს პირველ სხდომას ხსნის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

3. ახალარჩეული საბჭოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც საბჭომ ცნო, საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ს შეადგენს. საბჭოს პირველი შეკრება იწვევს წინა მოწვევის საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. თუ საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საბჭომ, საბჭოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, საბჭოს სხდომა წყდება. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი საბჭოს სხდომას იწვევს არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, როდესაც შესაძლებელი გახდება საბჭოს წინაშე დაისვას საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-მდე შევსების საკითხი.

მუხლი 171 . საბჭოს სტრუქტურა, საქმიანობის წესი და თანამდებობის პირები

1. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება გაერთიანების დებულებით.

2. საბჭოს თანამდებობის პირები არიან:

ა) საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი უფლებამოსილების ვადით სრული შემადგელობის უმრავლესობით ირჩევს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს არანაკლებ სამ წევრს. საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესი განისაზღვრება გაერთიანების დებულებით.

4. საბჭოს თანამდებობის პირების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. თუ საბჭოს თანამდებობის პირი იმავდროულად არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანამდებობის პირი, მისი საქმიანობა არ ანაზღაურდება.

5. საბჭოს საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია.

მუხლი 172 . საბჭოს უფლებამოსილებები

საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის წარდგინებით:

ა.ა) ამ კოდექსის 174-ე მუხლით განსაზღვრული კომპეტენციების სფეროში პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება;

ა.ბ) გაერთიანების უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება.

ბ) საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

- გ) გადაწყვეტილების მიღება საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;
- დ) გაერთიანების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამისი წინადადებების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ე) გაერთიანებაში განსახორციელებელი პროექტების შესახებ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორისგან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვნა;
- ვ) კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საბჭოს განკარგულების გამოცემა;
- ზ) საქართველოს მთავრობის წინაშე სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენება;
- თ) გაერთიანების დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 173 . საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას; თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს; უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას;
- ბ) წარმოადგენს საბჭოს ამ კოდექსითა და საბჭოს რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- გ) იწვევს საბჭოს რიგგარეშე სხდომებს;
- დ) ხელს აწერს საბჭოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- ე) გაერთიანების დებულებით დადგენილ შემთხვევებში ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს;
- ვ) ასრულებს სხვა მოვალეობებს საქართველოს კანონმდებლობისა და გაერთიანების დებულების შესაბამისად.

მუხლი 174 . პროექტებისა და პროგრამების მომზადება, დამტკიცება და აღსრულება.

1. პროექტები, პროგრამები და მათი ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება საბჭოს განკარგულებით. საბჭო უფლებამოსილია სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს წარუდგინოს წინადადება წარმოდგენილი პროექტების შეცვლის, გაუქმების ან დამატების შესახებ. გუბერნატორი იზიარებს ან არ ეთანხმება საბჭოს წინადადებას. პროექტების წარდგენიდან 20 კალენდარული დღის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში პროექტების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის და საბჭოს ალტერნატიული ვერსიები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. საბჭოს მიერ დამტკიცებული საპროექტო განაცხადების აღსრულებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

3. საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს და მოითხოვოს ინფორმაცია დამტკიცებული პროექტების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ვალდებულია ინფორმაცია წარადგინოს მიმართვიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. საბჭოს წევრების უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ვალდებულია შესაბამისი ანგარიშით წარდგეს საბჭოს წინაშე.

მუხლი 175 . გაერთიანების ხელმძღვანელი- სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

1. საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის საშუალებით.

2. გაერთიანების ხელმძღვანელის უფლებამოსილების განხორციელებისას სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი:

- ა) უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას;
- ბ) საბჭოს სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას;
- გ) ხელს აწერს გაერთიანების სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, წარმოადგენს და მოქმედებს გაერთიანების სახელით ოფიციალურ ურთიერთობებში; საქართველოს კანონმდებლობით, ან საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
- დ) მიმართავს საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, საბჭოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, ესწრება საბჭოს სხდომებს;
- ე) წელიწადში არანაკლებ ერთხელ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით – რიგგარეშე ანგარიშს;
- ვ) ამ კოდექსითა და გაერთიანების დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 176 . გაერთიანების სახელმწიფო კონტროლი

გაერთიანებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

კარი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

თავი XXI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 177 . ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები და უფლებამოსილების ვადა

1. 2014 წლის მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, გარდა ამ კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებული მუნიციპალიტეტებისა, ტარდება 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულ მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში, ასევე ამ კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე ახლად შექმნილ თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში.

2. 2014 წელის მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას, ამ კოდექსის შესაბამისად, აირჩევიან მუნიციპალიტეტების საკრებულოები და გამგებლები (მერები), ხოლო თბილისში ასევე უბნების საბჭოები.

3. 2014 წელის მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგებლის (მერის), უზნის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 წლით და მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ტარდება 2017 წელს.

მუხლი 178 . მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები

1. მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრება 2014 წლის მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე არსებული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები.

2. ამ კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი თვითმმართველ ერთეულების ადმინისტრაციული ცენტრები განისაზღვრება ამ კოდექსის 10-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 179 . მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია

1. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის N 297 დადგენილებით შექმნილი საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია (შემდგომში - სამთავრობო კომისია):

ა) ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშავებს მუნიციპალიტეტთა ტერიტორიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს;

ბ) ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შემუშავებული მუნიციპალიტეტთა ტერიტორიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმების საფუძველზე, ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამზადებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს: იმ მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებით, რომელთა ადმინისტრაციულ ცენტრებში (ქალაქები) მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 15000 მოსახლეს და ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს თვითმმართველ ქალაქებად;

გ) ამ კოდექსის მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და თბილისის საკრებულოს განსახილველად წარუდგენს თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების - უბნების ტერიტორიულ საზღვრებს;

დ) ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში აგრეთვე განიხილავს საქართველოს მთავრობისთვის იმ თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ინიცირებულ (არასავალდებულო წესით) შუამდგომლობებს, რომელთა ტერიტორიაზეც ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ არის გათვალისწინებული ტერიტორიული ოპტიმიზაცია;

ე) ამ მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ამზადებს წინადადებებს სხვა მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არაუგვიანეს ერთი წლისა საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ამ მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინადადებების შემუშავებისას, კომისია ხელმძღვანელობს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შემუშავებული კრიტერიუმებით და ამ კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებით.

3. საქართველოს მთავრობა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე შემუშავებული კომისიის წინადადებების გათვალისწინებით, ამ კოდექსის მე-10 მუხლის დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტების შექმნის და გაუქმების წარდგინებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თბილისის საკრებულო უბნის ადმინისტრაციულ საზღვრებს ამტკიცებს ამ კოდექსის მიღებიდან სამი თვის ვადაში.

5. მუნიციპალიტეტის ორგანოების 2017 წლის მორიგი არჩევნები ტარდება ამ კოდექსის 177-ე მუხლით განსაზღვრულ და ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შექმნილ თვითმმართველ ერთეულებში.

მუხლი 180 . გაერთიანების შექმნა და პირველი სხდომა

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირები - მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებები“ იქმნებიან 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივნისის N406 ბრძანებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიებზე.

2. გაერთიანების პირველი სხდომა იმართება 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში.

3. გაერთიანების საბჭოს პირველი სხდომის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია. გაერთიანების საბჭოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი.

4. გაერთიანების საბჭო პირველ სხდომაზე ირჩევს გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენიდან 10 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამის გაერთიანებებს.

მუხლი 181. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სამთავრობო კომისია ამზადებს ამ კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად ფორმირებული ახალი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების გადანაწილების დროებით წესს 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, ასევე ამ მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესებს.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა.

3. იმ თვითმმართველ ერთეულებში, რომელთა გაუქმების შედეგად ამ კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე იქმნება ახალი მუნიციპალიტეტები, 2014 წლის 1 მაისამდე ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იქმნება დროებით სამუშაო ჯგუფები. დროებითი სამუშაო ჯგუფი საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესების საფუძველზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების

შესახებ წინადადებების მომზადებას და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას. შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს არაუგვიანეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა.

4. ახალი საბიუჯეტო ერთეულების ბიუჯეტებში შემოსულობების შეუფერხებელი ასახვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2014 წლის 1 ივნისამდე ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

5. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების პირველი სხდომა იმართება არა უგვიანეს 2014 წლის 1 ივლისისა.

6. 2014 წლის პირველ ივნისამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყონ ამ კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე ფორმირებული მუნიციპალიტეტების 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომი პერიოდის ბიუჯეტების შედგენის დროებითი წესის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. არსებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება უწყდება ახლადარჩეული საკრებულოს ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახლადშექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტების ერთ-ერთი საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე.

მუხლი 182 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების გადასახდელების შესრულების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა

საქართველოს მთავრობა 2015 წლის პირველი იანვრიდან უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახურის ერთიან სისტემაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების გადასახდელების შესრულების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის ინტეგრირებას.

მუხლი 183 . ბიუჯეტებს შორის შემოსულობების გამიჯვნა

1. საქართველოს მთავრობა 2015 წლის პირველ სექტემბრამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს კანონპროექტს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს შემოსულობების გამიჯვნას საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კანონპროექტში განისაზღვრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილების პროპორცია და მექანიზმი, აგრეთვე მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერის მთლიანი ფონდის პროცენტული მიმართება ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან და გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილების შესაბამისი წესი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული კანონპროექტის მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

4. გაერთიანების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებებიდან.

მუხლი 184 . არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის განსაზღვრა

1. საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი ამავე საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობაში არ უნდა იყოს დასაგეგმი წლის წინა სამი წლის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები;

2. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გაყოფის შედეგად შექმნილ მუნიციპალიტეტებზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების გავრცელებისას, დასაგეგმი წლის წინა სამი წლის საბიუჯეტო გადასახდელების საშუალო მაჩვენებელი გამოიანგარიშება გაყოფამდე არსებული მუნიციპალიტეტის მონაცემებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 185 . გაერთიანებისთვის უფლებამოსილებათა გადაცემის სამართლებრივი უზრუნველყოფა

1. გაერთიანების მიერ ამ კოდექსის 168-ე მუხლის „ბ.ა“, „ბ.გ“ და ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შეიმუშავებს და 2014 წლის პირველ სექტემბრამდე საქართველოს მთავრობას წარუდგენს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ შორის გაერთიანების მართვაში გადასაცემი ობიექტების ნუსხის პროექტებს.

2. გაერთიანების მიერ ამ კოდექსის 168-ე მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს და 2014 წლის პირველ სექტემბრამდე საქართველოს მთავრობას წარუდგენს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ შორის გაერთიანების მართვაში გადასაცემი ობიექტების ნუსხის პროექტებს.

3. გაერთიანების მიერ ამ კოდექსის 168-ე მუხლის „ბ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიმუშავებს და 2014 წლის პირველ სექტემბრამდე საქართველოს მთავრობას წარუდგენს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ შორის გაერთიანების მართვაში გადასაცემი ობიექტების ნუსხის პროექტებს.

4. გაერთიანების მიერ ამ კოდექსის 168-ე მუხლის „ბ.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს და 2014 წლის პირველ სექტემბრამდე საქართველოს მთავრობას წარუდგენს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ შორის გაერთიანების მართვაში გადასაცემი ობიექტების ნუსხის პროექტებს.

5. გაერთიანებისთვის უფლებამოსილებათა და ობიექტთა მართვაში გადაცემის პერიოდულობის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონპროექტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს გაერთიანებისთვის შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები.

მუხლი 186 . მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი

1. გამგეობის (მერიის) და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 30 საშტატო ერთეულით და არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა აღნიშნული მინიმალური ოდენობის (ოცდაათი საშტატო ერთეული) და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება მუნიციპალიტეტის სახანძრო სამსახური.

3. მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის (მერიის) და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შტატით გათვალისწინებული რაოდენობის 10%-ს. იმ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც მომსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ი შეადგენს ხუთ ერთეულზე ნაკლებს, შესაძლებელია შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდა არაუმეტეს ხუთ ერთეულამდე.

4. საკრებულოსა და გამგეობის (მერიის) საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს.

5. ამ მუხლის პირველი-4 ნაწილების მოქმედება არ ვრცელდება თვითმმართველ ქალაქ თბილისზე, აგრეთვე ახალგორის, ქურთის, ერედვის, თიღვისა და აჟარის მუნიციპალიტეტებზე.

6. ეს მუხლი მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 187 . ადგილობრივ საჯარო მოსამსახურეთა სწავლება

1. ამ კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ვალდებულია შეიმუშავოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებები და არაუგვიანეს 2014 წლის პირველი აპრილისა განსახილველად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

მუხლი 188 . ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. ამ კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტების ორგანოების განთავსებას (საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შენობების გადაცემას, ახლის მშენებლობას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს) და მატერიალურ ტექნიკური ბაზით აღჭურვას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესაბამის ღონისძიებებს კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები.

მუხლი 189. მუნიციპალიტეტების სამოქმედო ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა

1. მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ინიციატივით და საქართველო მთავრობის დავალებით შესაბამისი სახელმწიფო უწყება უფლებამოსილია განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

2. ეს მუხლი მოქმედებს 2018 წლის პირველ იანვრამდე.

მუხლი 190 . მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის მიზნით კარტოგრაფიული მასალების მომზადების უზრუნველყოფა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ:

ა) 2014 წლის 1 აპრილამდე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის საზღვრების დადგენის წესის განსაზღვრის შესახებ;

ბ) ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნით 2014 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამისი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა.

მუხლი 191. დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 2 თვის ვადაში, ამტკიცებს დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭოების რეგისტრაციის წესს.

2. მუნიციპალიტეტების საკრებულოები უზრუნველყოფენ მათი ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭოების შექმნიდან 2 თვის ვადაში.

3. 2017 წლის პირველ იანვრამდე დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭოების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვას და ბალანსის შედგენას სავალდებულო წესით ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

მუხლი 192 . სამართლებრივი აქტების მოქმედების გარდამავალი პერიოდი

ამ კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებამდე, ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედებს იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლის გაყოფის შედეგადაც შეიქმნა ახალი მუნიციპალიტეტები.

მუხლი 193 . მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის გადაცემის ვადები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

მუხლი 194. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება განისაზღვრება საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

2. ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის თვითმმართველ ერთეულებში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ უფლებამოსილებას აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებამდე.

3. ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის თვითმმართველი ერთეულების ორგანოებს უფლება აქვთ, სხვა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც – განსახლებული არიან იძულებით გადაადგილებული ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიებზე, განახორციელონ მათი საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებებისადმი დაქვემდებარებული მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ პირთა დახმარებას და მათთვის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე.

მუხლი 195. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) 2014 წლის 1 მარტამდე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცება;

ბ) 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების დადგენისა და გამოყენების წესის განსაზღვრა;

გ) 2014 წლის 1 ივნისამდე გაერთიანების ტიპიური დებულების დამტკიცება;

დ) 2014 წლის 1 მაისამდე მუნიციპალიტეტების ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის წესის, ქონების პრივატიზებისას საპრივატიზებო საწყისი საფასურის და ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცება.

2. საქართველოს მთავრობამ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე უზრუნველყოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნის

უზრუნველყოფად შესაბამისი საკანონმდებო ცვლილებების მომზადება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების იდენტიფიცირება და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის წარმოდგენა.

3. მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყონ მათი ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

თავი XXII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 196 . საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების წესი

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის პირველი, მე-2, მე-4-მე-9, მე-13-166-ე მუხლებისა, 178-ე მუხლის პირველი ნაწილისა, 180-ე, 181-ე, 186-ე, 191-ე, 192-ე, 194-ე და 197-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის პირველი, მე-2, მე-4-მე-9, მე-13-117-ე, 118-ე მუხლის პირველი ნაწილი, 119-ე-176-ე, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 180-ე, 181-ე, 186-ე, 191-ე, 192-ე, 194-ე და 197-ე მუხლები ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

3. ამ კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 197 . კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

- ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- დ) „თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ამ აქტების უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქ. ქუთაისი
2013 წლის ---
№-----

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში საჯარო მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილობრივი პირობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კოდიფიკაცია განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო მოწესრიგებულია რამდენიმე საკანონმდებლო აქტით, რაც ნორმათა შორის ბევრ კოლიზიას წარმოშობს. ამასთან, თვითმმართველობის საკითხების ორგანული კანონით დარეგულირების კონსტიტუციური მოთხოვნა უგულვებელყოფილია საქართველოს დედაქალაქთან, თბილისთან მიმართებით. ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი ყველა ნორმის ერთ, მაღალი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტში - ორგანულ კანონში გაერთიანება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ერთიანობასა და მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემები:

- 2004-2005 წწ. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, თვითმმართველობის უფლება დაკარგა 1000-ზე მეტმა თვითმმართველმა ერთეულმა (ქალაქმა, დაბამ, თემმა და სოფელმა), მათ შორის 13 ქალაქმა 15000-ზე მეტი მოსახლეობით (ზუგდიდი, გორი, სამტრედია, ხაშური, სენაკი, ზესტაფონი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი, ქობულეთი, ახალციხე, წყალტუბო, კასპი) და 7 ქალაქმა 10000-დან 15000-მდე მოსახლეობით (ტყიბული, ბორჯომი, ჭიათურა, საგარეჯო, გარდაბანი, ხონი, გურჯაანი). სანაცვლოდ, თვითმმართველი ერთეულები შეიქმნა ყოფილი რაიონული მმართველობის საზღვრებში, ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიციული, ინფრატრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, რამაც რეალურად დააშორა ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითისთვის, საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება ანალოგიურ საშუალო ევროპულ მაჩვენებელს (იხ. დანართი N1). მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა ასევე საქართველოს თვითმმართველი ერთეულების საშუალო ფართობის მაჩვენებელსა და საშუალო ევროპულ მაჩვენებელს შორის (იხ. დანართი N2).

- მსხვილი თვითმმართველი ერთეულების საზღვრებში ქალაქის და სოფლის, მთის და ბარის მოსახლეობის განსხვავებული ინტერესები და საჭიროებები ადექვატურად არ აისახება თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და განხორციელებულ პროექტებში. ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების ანალიზი აჩვენებს ქალაქსა და სოფელს შორის საბიუჯეტო ხარჯების გადანაწილების შეუსაბამობას (იხ. დანართი N3);

- სოფლებში გადაუჭრელია ინფრასტრუქტურული და სხვა ყოფითი, საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, რაც აისახება როგორც აგრარული სექტორის განვითარებაზე, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მეორეს მხრივ, თვითმმართველი ქალაქის იურიდიული სტატუსის და აქედან გამომდინარე ქალაქის არჩევითი თვითმმართველობის ორგანოებისა და საქალაქო ბიუჯეტის არარსებობის პირობებში ვერ ხერხდება საშუალო და მცირე ქალაქების ურბანულ განვითარებაზე ორიენტირება. დღევანდელი თვითმმართველობა მოსახლეობის ყოფითი და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი მექანიზმების არქონის პირობებში ძირითადად იქცა პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომლის მთავარი ფუნქცია არჩევნებზე ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგების უზრუნველყოფაა;

- მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობაში რეალური მონაწილეობის ინსტიტუციურ მექანიზმებს;

- ხარვეზებს შეიცავს თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის მოქმედი მოდელი. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩვენბამდე განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლის დეკლარირებულ მიზანს საკრებულოს როლის გაძლიერება წარმოადგენდა, პრაქტიკაში ასახვა ვერ ჰპოვა. სამაგიეროდ, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელს (მერს) შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხი. გართულდა ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის - რეალური პოლიტიკური ლიდერის იდენტიფიკაცია;

- გამგეობის (მოგვიანებით თვითმმართველი ერთეულის) რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღებამ რეალურად ვერ უზრუნველყო თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართვა. სამაგიეროდ, ხშირ შემთხვევაში, ის გამოიყენება საარჩევნო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც მისი, როგორც საჯარო მოხელის, უფლებამოსილების ფარგლებს მიღმაა;

- პრობლემატურია დედაქალაქის ინსტიტუციური მოწყობის ამჟამინდელი, უკიდურესად ცენტრალიზებული მოდელი. თბილისის ცალკეული უბნების მოსახლეობა მოკლებულია საკუთარი დასახლების ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის შესაძლებლობას;

- მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებების, როგორც ექსკლუზიური და სრული კომპეტენციების სრულყოფილ გარანტიებს. ამასთან, მოქმედი ორგანული კანონის

სხვადასხვა მუხლებში გვხვდება უფლებამოსილებების ჩამონათვალი, რომელიც არ განეკუთვნება თვითმმართველობის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებებს. მაგალითად, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის უფლებამოსილებები, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ე.წ. დროებითი უფლებამოსილებები, რომელთა ჩამონათვალი წლიდან წლამდე მუდმივად იზრდებოდა;

- დაზუსტებას მოითხოვს უფლებამოსილების დელეგირების წესი, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, პრობლემატურია დელეგირების განმახორციელებელი და შესაბამისად, დარგობრივ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს იდენტიფიცირება, ეს კი საბოლოოდ დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ეფექტიანობაზე აისახება;

- ხარვეზებს შეიცავს სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები. გაურკვეველია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს როლი სამართლებრივი ზედამხედველობის ნაწილში - საქართველოს კანონმდებლობა მას ზედამხედველობის ორგანოდ არ განსაზღვრავს. დარღვეულია სახელმწიფო ორგანოთა იერარქია - სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი უფლებამოსილია არ დაეთახმოს იერარქიულად მასზე ზემდგომი ორგანოს - სამინისტროს პოზიციას. ამას ისიც ემატება, რომ ხშირ შემთხვევაში, გუბერნატორის ადმინისტრაცია მოკლებულია საექსპერტო ცოდნას, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე ეფექტიანი ზედამხედველობა უზრუნველყოს;

- ადგილობრივ თვითმმართველობას ორგანული კანონით მინიჭებული საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის შესაბამისი ფინანსები არ გააჩნია. მაშინ როდესაც, სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულად იგეგმება, ფინანსდება და ხორციელდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამა თუ პროექტი, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროში;

- არ არსებობს საკანონმდებლო გარანტიები და მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო, რეგიონული მნიშვნელობის საკითხების, პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. თვითმმართველობა, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი და ამავე დროს ბენეფიციარი, აღნიშნული პროცესების მიღმა დარჩენილი. ამასთან, არსებობს სახელმწიფო კომპეტენციაში შემავალი საკითხები, რომელთა მართვა და რეგულირება, მათი მასშტაბურობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სცდება ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებს და უფრო ფართო, რეგიონულ დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს, სადაც მუნიციპალიტეტების ჩართულობა და მონაწილეობა შეზღუდულია;

- არსებული კანონმდებლობა არ იძლევა თვითმმართველობის ორგანოებში ადგილობრივ მოხელეთა პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ეტაპობრივი რეფორმის უზრუნველყოფა მყარი საკანონმდებლო საფუძვლებით, რაც გულისხმობს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირებას და თავმოყრას საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რაც წარმოადგენს დამატებით გარანტიას კანონმდებლობის მდგრადობის, ასევე კოლიზიებისა და წინააღმდეგობრიობის თავიდან ასაცილებლად;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელების ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას; თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდას;
- თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის, თვითორგანიზების, დასახლებებში საზოგადოებრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნას; მათ შორის, თბილისში თვითმმართველობის დაახლოებას მოსახლეობასთან;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ინსტიტუციური მოწყობის ქმედითი მოდელის შექმნას, სადაც მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის (მერის) ძალაუფლება დაბალანსებული იქნება ძლიერი და ქმედითი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი კომპეტენციების მკაფიოდ განსაზღვრას, მომსახურების ერთიანი მინიმალური სტანდარტების თანდათანობითი შემოღებით, უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, მუნიციპალიტეტებში შესაბამისი ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ავტონომიის გამყარებას - სწრაფვას თვითკმარი თვითმმართველი ერთეულების შექმნისაკენ;
- სახელმწიფო ზედამხედველობის პროცედურების დახვეწას, მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობის განხორციელებისას;
- რეგიონის არსებულ მართვის მოდელში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას. რეგიონული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებას თვითმმართველობათა გაერთიანებების შექმნის გზით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ განვითარებას და მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის პროექტზე მუშაობისას, სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, შესწავლილ იქნა თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებასთან და ეფექტიანი თვითმმართველობის სისტემის შემოღებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, გაანალიზდა საქართველოს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და მენტალური

თავისებურებები და საქართველოს გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვადასხვა პერიოდის მოწყობის მოდელების გამოცდილების თვალსაზრისით.

კოდექსის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

კარი I – ადგილობრივი თვითმმართველობა;

კარი II– მუნიციპალიტეტის ორგანოები;

კარი III – საქართველოს დედაქალაქი - თბილისი;

კარი IV – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და დასახლების საზოგადოებრივი საბჭო;

კარი V – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები;

კარი VI – სახელმწიფო ზედამხედველობა, აუდიტი და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა;

კარი VII – მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება;

კარი VIII– გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

კოდექსის პროექტის პირველი კარის **პირველი თავი** ეთმობა ზოგად დებულებებს, სადაც განსაზღვრულია კოდექსის მოქმედების სფერო, ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება, სამართლებრივი საფუძვლები, მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეულის ცნება, ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები და სხვა ზოგადი საკითხები.

პირველი კარის **მე-2 თავით** მოწესრიგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზების საკითხები, კერძოდ, თვითმმართველი ერთეულების შექმნა-გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, მუნიციპალიტეტების რეგისტრაციის პროცედურები.

პროექტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსს იღებს ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც 15 000 შეადგენს. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალაქის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ ქალაქს, რომლის მოსახლეობა 15 000 მცხოვრებზე ნაკლებია, მაგრამ გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი.

პირველი კარის **მე-3 თავში** ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის კომპეტენციები. საქართველოს კონსტიტუციის 102² მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები ექსკლუზიური ფუნქციებია. აღნიშნული მოთხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედ კანონში ზოგ შემთხვევაში არ იყო დაკმაყოფილებული. ასევე უფლებამოსილებები აღრეული იყო უფლებამოსილების განხორციელების ფორმებთან და მექანიზმებთან. მაგალითად, საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრული იყო მუნიციპალური გეგმების და პროგრამების დამტკიცება (მე-16-მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი), რაც წარმოადგენს არა უფლებამოსილებას, არამედ მისი განხორციელების მექანიზმს. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები დაზუსტდა ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.

კოდექსის სიახლეა სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი და სახელმწიფო ორგანოებისაგან დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში სახელმწიფო სტანდარტების დადგენის უფლებამოსილების საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირება. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

კოდექსის პროექტის მე-2 კარი ეხება მუნიციპალიტეტის ორგანოებს.

კოდექსის პროექტით წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის და თვითმმართველი ერთეულის ინსტიტუციური მოწყობის საკითხები შეიცავს მთელ რიგ სიახლეებს. კერძოდ:

საკრებულოს კომპეტენცია გაწერილია სფეროების მიხედვით:

- ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტობის განმსაზღვრელ სფეროში;
- ბ) შიდა ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში;
- გ) აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში;
- დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში;
- ე) მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში.

არჩევით საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს ეყოლება არჩევითი გამგებელი (მერი, თვითმმართველ ქალაქებში), რაც ზრდის გამგებლის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს როლს და მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების ხარისხს. (აღნიშნული სისტემა მოქმედებს: უნგრეთში, სლოვენიაში, პორტუგალიაში, იტალიაში, ბულგარეთში, გერმანიისა და ავსტრიის ზოგიერთ მიწებში).

კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის დაბალანსებული ურთიერთთანამშრომლობისა და კრიზისების გადალახვის ეფექტიან მექანიზმებს. კერძოდ, გამიჯნული და დაზუსტებულია საკრებულოსა და გამგებლის (მერის) ფუნქციები. საკრებულო ფლობს ექსკლუზიურ უფლებას გამოსცეს ადგილობრივი ნორმატიული აქტები. გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს მიერ მიღებული აქტები ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნოს საკრებულოს. გამგებლის (მერის) მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის სახით წარმოდგენილია გამგებლის უფლებამოსილების პროცედურა. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის წერილობითი შუამდგომლობა, რომელიც საკრებულოს მიერ განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი. უნდობლობის გამოცხადება იწვევს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტას. საკრებულოს მიერ გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხი არ შეიძლება დაისვას მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

კოდექსის მე-3 კარი ეთმობა საქართველოს დედაქალაქში – თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებს. კოდექსის პროექტის თანახმად, თბილისის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება როგორც მუნიციპალიტეტის, ისე დამატებით სხვა უფლებამოსილებები, მაგალითად მყარი ნარჩენების მართვა.

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოსა და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. თბილისში სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით მოქმედებს კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო თბილისის მთავრობა.

თბილისი იყოფა რაიონებად და უბნებად. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქმედითი მონაწილეობის მიღების მიზნით, იქმნება თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოები - უბნის საბჭოები. აღნიშნული ინსტიტუტი არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეს (ის დედაქალაქის სტრუქტურაში ინტეგრირებული ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა) და, შესაბამისად, არ გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. უბნის საბჭოები ახორციელებენ მათზე გადაცემულ თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებებს. ქალაქების მართვის მსგავს სისტემას ვხდებით ჰოლანდიაში (ამსტერდამი, როტერდამი) ავსტრიაში (ვენა), ესტონეთში (ტალინი).

თბილისის უბნის საბჭოს ძირითად ფუნქციებად განისაზღვრება: ადმინისტრაციული ერთეულისათვის თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში საპროექტო განაცხადების მომზადება, დამტკიცება და თბილისის მერისთვის წარდგენა; ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მოედნის, პროსპექტის (გამზირის); გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის; სკვერის, ბაღის, პარკის სახელებების შესახებ წინადადების მომზადება და თბილისის საკრებულოსთვის წარდგენა; უბნის მოსახლეობის ინტერესების წარმოდგენა და დაცვა თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში. უბნის საბჭო ასევე ახორციელებს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით გადაცემულ უფლებამოსილებებს.

თბილისის რაიონის ტერიტორია უნდა ემთხვეოდეს ერთი ან რამდენიმე უბნის ტერიტორიას. რაიონებში ფუნქციონირებენ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოები – თბილისის რაიონის გამგეობები.

კოდექსის მე-4 კარი ეხება დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივ საბჭოს. დასახლების (დასახლებების) საზოგადოებრივი საბჭო არის დასახლებაში (დასახლებებში) რეგისტრირებული ამომრჩევლების შესაძლებლობა საერთო კრების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იზრუნოს დასახლების (დასახლებების) განვითარებაზე და ქმედითი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

საზოგადოებრივი საბჭო არ არის საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, ის წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმს.

დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში სამოქალაქო თანამონაწილეობის ინსტრუმენტის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივაზეა დაფუძნებული. დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობა, როგორც წესი, ხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე. დასახლების საზოგადოებრივი საბჭო არ წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს.

დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეულის ყველა წევრს. საერთო კრების წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო.

საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლებად განისაზღვრა შემოწირულობა, ხელშეკრულების სფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიზნობრივი დახმარება. მსგავსი ფორმის ინსტიტუტები არსებობენ მაგალითად: პოლონეთში და ინგლისში.

კოდექსის V კარი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტსა და ეკონომიკურ საფუძვლებს. კოდექსის ამ კარით რეგულირდება შემდეგი საკითხები:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- მუნიციპალიტეტის ქონება;
- მუნიციპალიტეტის ქონების შექმნა;
- მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გაცემა;
- ამ კარში კოდიფიცირებულია მუნიციპალურ ბიუჯეტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

კოდექსის აღნიშნულ კარში წარმოდგენილია როგორც საბიუჯეტო სფეროში არსებული, დღეს მოქმედი ნორმები, ასევე გარკვეული სიახლეები. კერძოდ, კოდექსის ამ კარის სიახლეს წარმოადგენს კაპიტალური ტრანსფერის, როგორც ტრანსფერის ერთ-ერთი სახეობის გამოყოფა ტრანსფერის სხვა სახეებისგან. კოდექსის თანახმად, კაპიტალური ტრანსფერის გადაცემა ხდება ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის მიზნობრივი კაპიტალური პროექტის განხორციელების მიზნით, რაც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

კოდექსში წარმოდგენილია მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებული ნორმები. არსებული კანონდებლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების კატეგორიების, შექმნის წესისა და ქონებრივი უფლებების მარეგულირებელი ნორმები მოცემული იყო „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ნორმატიული ბაზა საჭიროებდა გადამუშავებას და ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებებზე მორგებას, რაც განხორციელდა კოდექსის პროექტში დასახელებული კარის სახით. მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებული ნორმები

გადამუშავდა როგორც არსებული პრაქტიკის გაანალიზების, ასევე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინების საფუძველზე.

VI კარში ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოშია მოქცეული სახელმწიფო ზედამხედველობისა და აუდიტის განხორციელების მარეგულირებელი ნორმები.

კოდექსი შეიცავს მნიშვნელოვან სიახლეებს სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების სამართლებრივი რეგლამენტაციის ხარისხის თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. დარგობრივ ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებად კი კომპეტენციის შესაბამისად სამინისტროები.

დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებაზე ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის უზრუნველყოფის მიზნით გაფართოვდა ზედამხედველობის ობიექტი, კერძოდ, დარგობრივი ზედამხედველობა მოიცავს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ასევე **მოქმედებებსაც**. დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილებებად განისაზღვრა: სარეკომენდაციო ინსტრუქციების დადგენა; ინფორმაციის გამოთხოვნა, ინსპექტირება, სავალდებულო მითითებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეჩერება-გაუქმება და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლება.

კოდექსის **VI კარი** ასევე არეგულირებს შემდეგ საკითხებს: მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი; საკრებულოს დათხოვნა, საქმიანობის შეჩერება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პირდაპირი მართველობის შემოღება.

კოდექსის **VII კარი** ეთმობა კოდექსის კიდევ ერთ არსებით სიახლეს – მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებას (შემდგომში – გაერთიანება).

არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მუნიციპალიტეტების რეგიონული მნიშვნელობის საკითხების მართვაში და გადაწყვეტაში ჩართვის აუცილებლობა, რასაც ვერ უზრუნველყოფდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტი. კოდექსით შემოთავაზებული მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების ორგანიზაციული მოწყობა და ორგანოების დაკომპლექტების წესი უზრუნველყოფს ეფექტიანი რეგიონული მართვის მექანიზმის შექმნას.

მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება იქმნება იმ საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც სცდება ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებს და მისი გადაწყვეტის უფლებამოსილება სახელმწიფოს მიერ ამ კოდექსით გადაცემული აქვს გაერთიანებას. გაერთიანება არ არის თვითმმართველი ერთეული. გაერთიანება არის ამ კოდექსის

შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს კოლექტიური ორგანო - გაერთიანების საბჭო. გაერთიანებას ხელმძღვანელობს შესაბამის ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

კოდექსის VIII – გარდამავალი და დასკვნითი დებულებების კარში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩამონათვალი, განსაზღვრულია თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მინიჭებასთან, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების დადგენასთან, მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ოპტიმიზაციასთან, ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ვადები, მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების და საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ვადები. ასევე, ეს კარი განსაზღვრავს კოდექსის ამოქმედების წესს და კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს.

გარდამავალი დებულებების თავში ეტაპობრივად არის გაწერილი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ოპტიმიზაციის პროცესი.

პირველ ეტაპზე, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია შეიმუშავებს მუნიციპალიტეტთა ტერიტორიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც მოამზადებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს იმ მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებით, რომელთა ადმინისტრაციულ ცენტრებში (ქალაქებში) მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 15 000 მოსახლეს და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კოდექსის პროექტის შესაბამისად, უნდა მიენიჭოთ თვითმმართველი ქალაქების სტატუსი.

გარდა ამისა, კოდექსის მიღებიდან სამი თვის ვადაში, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს მთავრობისთვის იმ თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების მიერ წარდგენილი (არასავალდებულო წესით) შუამდგომლობები, რომელთა ადმინისტრაციული ცენტრებიც (ქალაქები) არ აკმაყოფილებენ კოდექსის პროექტის თანახმად თვითმმართველი ქალაქისთვის დადგენილ კრიტერიუმს (მოსახლეობა არ აღემატება 15 000 მოსახლეს). ამ შემთხვევაშიც, კომისია, შემუშავებული ოპტიმიზაციის კრიტერიუმების შესაბამისად, ამზადებს და მთავრობას წარუდგენს თვითმმართველი ერთეულების გაყოფასთან დაკავშირებულ წინადადებებს.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ აგრძელებს მუშაობას და ტერიტორიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმებზე დაფუძნებით ამზადებს და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არაუგვიანეს ერთი წლისა საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ამ მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებით.

გარდამავალი დებულებების თავით, თვითმმართველობათა რეგიონული გაერთიანებისთვის გათვალისწინებულია უფლებამოსილებათა გადაცემის პარალელურად ამ უფლებამოსილებათა განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის ეტაპობრიობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ზოგადად დავწეროთ.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. აქაც ზოგადად, რატომ?

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საკრებულოსა და გამგებობების აპარატში) მუშაობს დაახლოებით 13000 მოსამსახურე. კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება შემდეგი ფორმით: თითოეული მუნიციპალიტეტში 30 მოსამსახურეს პლუს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყოველ 500 ამომრჩეველზე 1 შტატი. რაც მუნიციპალიტეტების ზრდის მიუხედავად (დაახლოებით სულ 120 მუნიციპალიტეტამდე) არ გამოიწვევს ადგილობრივ მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდას. კერძოდ;

საქართველოში თბილისის გარდა ამომრჩეველთა რაოდენობა დაახლოებით 2.5 მილიონი ამომრჩეველს შეადგენს, რაც ადგილობრივ არჩევნებამდე მუნიციპალიტეტების რაოდენობის სავარაუდო ზრდის მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, ნიშნავს დაახლოებით მხოლოდ 8600 დასაქმებულს ($120 \times 30 + 2\,500\,000 / 500 = 8600$) დღეს არსებული დაახლოებით 13000 ნაცვლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების რაოდენობის ზრდა საბიუჯეტო ხარჯების გაზრდასაც არ გამოიწვევს.

პროექტით დგინდება, რომ საკრებულოსა და გამგებობის (მერიის) საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს, ასევე საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი, ამავე საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობაში არ უნდა იყოს დასაგეგმი წლის წინა სამი წლის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები. ამასთან, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გაყოფის შედეგად შექმნილ მუნიციპალიტეტებზე ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გავრცელებისას, დასაგეგმი წლის წინა სამი წლის საბიუჯეტო გადასახდელების საშუალო მაჩვენებელი გამოიანგარიშება გაყოფამდე არსებული მუნიციპალიტეტის მონაცემებით. აღნიშნული ფინანსური რეგულაციები ქმნიან ჩარჩოებს,

რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესის მდგრადობის შენარჩუნებას.

მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია. გაერთიანების საბჭოს წევრების საქმიანობა არ ანაზღაურდება. ანაზღაურებადია მხოლოდ გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, თუ ის არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს თანამდებობის პირს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კოდექსის ამოქმედების შემდეგ ახლად შექმნილი თვითმმართველი ერთეულებიდან 13 აქვს ადმინისტრაციული შენობები (მოქმედი შენობები), ხოლო დარჩენილი თვითმმართველი ერთეულების აბსოლუტურ უმრავლესობაში არსებობს ადმინისტრაციული შენობები, რომლებიც საჭიროებენ გაფართოებასა და რეკონსტრუქციას, რისთვისაც საჭირო ხარჯები დაახლოებით 30 მილიონის ფარგლებშია. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განხორციელებული აქვს წინასწარი აღწერილობითი და საანგარიშო სამუშაოები. ასევე სხვა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და სხვა) შეადგენს დაახლოებით 10 მილიონ ლარს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

გადასახადი, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელეები არ დგინდება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტი უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის ქმედით რეალიზებას.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს სამინისტროები, სსიპ – ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

დანართი N1

თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო ევროპული მაჩვენებლები

ქვეყანა	მოსახლეობის საშუალო რაოდენობა
ჩეხეთი	1682
საფრანგეთი	1791
სლოვაკეთი	1847
უნგრეთი	3132
შვეიცარია	3135
სომხეთი	3245
ლიხტენშტეინი	3332
მონაკო	3416
სან მარინო	3472
ავსტრია	3590
მოლდოვა	3625
უკრაინა	3959
ისლანდია	4212
საქართველო-2002	4354
ლუქსემბურგი	5014
ესპანეთი	5694
ესტონეთი	5927
მალტა	6152
საერთო ევროპული	6688
რუმინეთი	6704
გერმანია	7133
იტალია	7526
ხორვატია	7674

სლოვენია	9754
ალბანეთი	10267
ანდორა	11194
ნორვეგია	11672
პოლონეთი	15548
ფინეთი	16114
ლატვია	17021
ბელგია	18917
მაკედონია	24771
თურქეთი	25084
ბულგარეთი	27669
აზერბაიჯანი	27837
ბოსნია-ჰერცეგოვინა	27985
კვიპროსი	28949
ჩერნოგორია	29575
შვედეთი	32816
პორტუგალია	34178
საბერძნეთი	34708
ნიდერლანდები	40114
სერბეთი	41517
ლიტვა	49758
ირლანდია	53986
დანია	57046
საქართველო-2012	70497
გაერთიანებული სამეფო	135681

დანართი N 2

თვითმმართველი ერთეულების ფართობის საშუალო ევროპული მაჩვენებლები

ქვეყანა	საშუალო ფართობი კმ ²
მალტა	5
სან მარინო	7
ჩეხეთი	13
ლიხტენშტეინი	15
საფრანგეთი	15
შვეიცარია	16
სლოვაკეთი	17
ლუქსემბურგი	24
უნგრეთი	29
გერმანია	31
სომხეთი	33
მოდოვა	34
ავსტრია	36
იტალია	37
ბელგია	52
უკრაინა	52
საქართველო-2002	57
ესპანეთი	62
ანდორა	67
რუმინეთი	75
ალბანეთი	93
სლოვენია	96
ნიდერლანდები	99

ხორვატია	102
პოლონეთი	126
საერთოევროპული	193
ესტონეთი	200
კვიპროსი	237
აზერბაიჯანი	259
თურქეთი	266
პორტუგალია	299
მაკედონია	303
ბოსნია-ჰერცეგოვინა	374
საბერძნეთი	406
ბულგარეთი	420
დანია	440
სერბეთი	445
გაერთიანებული სამეფო	521
ლატვია	543
ჩერნოგორია	658
ნორვეგია	753
ირლანდია	827
საქართველო-2012	891
ფინეთი	1006
ლიტვა	1088
რუსეთი	1300
ისლანდია	1355
შვედეთი	1552

დანართი N3
ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები

მუნიციპალიტეტის დასახელება	ქალაქის ხარჯები მუნიციპალიტეტში	სოფლის ხარჯები მუნიციპალიტეტში	ქალაქის მოსახლეობა მუნიციპალიტეტში	სოფლის მოსახლეობა მუნიციპალიტეტში
ზუგდიდი	60%	40%	41%	59%
გორი	89%	11%	33%	67%
სამტრედია	88%	12%	49%	51%
ხაშური	76%	24%	46%	54%
სენაკი	53%	47%	54%	46%
ზესტაფონი	74%	26%	32%	68%
თელავი	85%	15%	31%	69%
მარნეული	64%	36%	17%	83%
ოზურგეთი	61%	39%	24%	76%
ქობულეთი	85%	15%	21%	79%
ახალციხე	96%	4%	40%	60%
წყალტუბო	82%	18%	23%	77%
კასპი	44%	56%	29%	71%